კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერალიტული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1925 წლის ივნისის 15.	№ 5. განყოფილება პირველი	გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული საკანონმდებლო კომისიის მიერ.

შინაარსი:

მუხ. 416. სამუშაო დღის ხანგრძლივობის შესახებ სამრეწველო ტიპის სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კერძო სასოფლო მეურნეობაში.

„ 417. სამრეწველო სტატისტიკის შესახებ ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს ტერიტორიაზე.

„ 418. საბინაო კოოპერაციის თაობაზე ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1924 წ. აგვისტოს 19-ს თარიღით გამოცემული დადგენილები' განხორციელების ღონისძიებათა შესახებ.

„ 419. ზემოავჭალის ჰიდრო-ელექტრო სადგურის და საალმშენებლო საზოგადოების „შინაარის" განთავისუფლების შესახებ დამატებითი გამოსაღებისაგან ქვიშისა და ხრეშის გადაზიდვისათვის.

„ 420. ბითუმად გასაყიდი ფართლეულის ფასის წანამატის შესახებ.

„ 421. პაპაროსის საეტიკეტო უკიდურესი ფასების შესახებ.

„ 422. ამიერკავკასიისა და რესპუბლიკანური საფონდო კომისიების მოწყობის შესახებ.

„ 423. შვებულებაში წასულთათვის მისაცემი სამუშაო ხელფასიდან და შვებულების გამოუყენებლობისათვის მისაცემი კომპენსაციიდან ამა თუ იმ დასაპერი თანხის გამოუკლებლობის შესახებ.

„ 424. ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ორგანოების მიერ წარმოებული სავაჭრო და სხვა საწარმოთა რეგისტრაციისათვის გადასახდევინებელი სახელმწიფო გამოსაღების შესახებ.

„ 425. წარვლინებასთან დაკავშირებული ხარჯვების კომპენსაციის შესახებ.

„ 426. 1925 წ. გაზაფხულისა და შემოდგომის ნაპარსი მატყლის უკიდურესი ფასების შესახებ.

„ 427. შრომის არტელების შესახებ,

„ 428. სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებთან არსებულ საურთიერთო ანგარიშგასწორების განყოფილებათა შესახებ.

„ 429. შრომის კანონთა კოდექსის ცვლილებათა თაობაზე ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გამოცემული დადგენილების მე-5 მუხ. განმარტების შესახებ.

„ 430. ნახიჩევანის ქვა-მარილის ფასის შესახებ.

„ 431. „ადგილობრივი ფინანსების დროებითი დებულების" დარღვევის აღმკვეთ ღონისძიებათა შესახებ.

„ 432. ა/კ. ს. ფ. ს. რ-სა და ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი რესპუბლიკების გამგებლობაში ბიუჯეტის გარეშე ქონებულ სახსართა და კაპიტალთა აღრუსხვის შესახებ.
„ 433. დებულება ადგილობრივ საბჭოთა ქონების შესახებ.
„ 434. სახელმწიფო სავაჭრო საწარმოთა და მათ შენაერთთა მიერ ცნობებისა და დოკუმენტების წარდგენის ვადის შესახებ.
„ 435. ა/კ. ს. ფ. ს. რ-სა და მასში შემავალი რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებათა შესახებ.

დადგენილება № 30 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა.

1925 წლის მაისის 5.

416. სამუშაო დღის ხანგრძლივობის შესახებ სამრეწველო ტიპის სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კერძო სასოფლო მეურნეობაში.

რათა მოწესრიგებულ იქნეს ის საკითხები, რაც დაკავშირებულია სამრეწველო ტიპის სასოფლო მეურნეობაში ზაფხულობით სამუშაო დღის გადიდებასთან, ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატი, ა/კ. პროფ. კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით, ადგენს:

1, ნაცვლად ზედმეტი მუშაობის სისტემატიურად წარმოებისა, რაც გამოწვეულია სოფლის მუშაობის ხასიათით, შესაძლებლად იქნეს ცნობილი ზაფხულობით სამუშაო დღის გადიდება თვეში 10 საათამდე საშუალოდ, რისთვისაც დადებულ უნდა იქნეს კოლექტიური და შრომის ხელშეკრულება ღა შეთანხმება, როგორც მუდმივი, ისე დროებითი, სასეზონო და დღიური მუშებისათვის.

შენიშვნა. 1. სამუშაო დღის მოწესრიგება არა-სამრეწველო ტიპის საგლეხო (შრომითი) მეურნეობაში მოხდება ს. ს. რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისარიათა საბჭოს მიერ გლეხთა მეურნეობაში დამხმარე დაქირავებული შრომის გამოყენების პირობების შესახებ 1925 წლის აპრილის 25-ს თარიღით გამოცემული დროებითი წესების მე-6 მუხლის მიხედვით.

შენიშვნა 2. განსაკუთრებულ შემთხვევაში, როცა აუცილებელია უკვე დაწყებული სამუშაოს დამთავრება, შესაძლებლად იქნეს ცნობილი ზედმეტი მუშაობის წარმოება გადიდებული სამუშაო დღის გარეშეც, ხოლო ეს ზედმეტი მუშაობა მთლად ზაფხულის განმავლობაში 40 საათს არ უნდა აღემატებოდეს.

სასყიდლისა და კომპენსაციის მიცემა მოხდება ამა დადგენილების მე-2 და მე-3 მუხლის წესისამებრ.

2. იმ მუშას, რომელიც ამა თუ იმ მეურნეობაში მთელი წლის განმავლობაში მუშაობს, უკეთუ იგი საზაფხულო გადიდებული სამუშაო დღის მიხედვით 8 საათზე მეტს იმუშავებს, დამქირავებელი კომპენსაციას მისცემს ან ნით, რომ შეუმცირებს მუშაობის ვადას წელიწადის სხვა დროს იმდენი საათით, რამდენიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზედმეტად იმუშავა ან მისცემს სასყიდელს ზედმეტ საათებში დატვირთვისათვის დამყარებული წესით.

3. საზაფხულო გადიდებული სამუშაო დღის მიხედვით 8 საათზე მეტი მუშაობისათვის იმ მუშას, რომელიც სეზონობით, დროებით ან დღიურად მუშაობს, სასყიდელი მიეცემა, როგორც ზედმეტი საათებისათვის, რისთვისაც დაწესებულ უნდა იქნეს სათანადო დატვირთვა არსებული თვიური ან დღიური სამუშაო ხელფასისა.

4. საზაფხულო დრო, როდესაც სამუშაო დღე გადიდებულია, ითვლება აპრილის 1-დან ოქტომბრის 15-დე.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარი **ს. იაკუბოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 867 №-ში 1925 წლის მაისის 6-ს.

დადგენილება № 22 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

417. სამრეწველო სტატისტიკის შესახებ ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სასალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ა/კ. ს. ფ. ს. რ-ის ტერიტორიაზე არსებული ყველა სახელმწიფო, კოოპერატიული და კერძო სამრეწველო საწარმო, ქვემოაღნიშნული ცენზის მიხედვით, საკუთარი და იჯარით აღებული, როგორც ტრესტის შედგენილობაში შემავალი,—კოოპერატივი და სხვა შენაერთი,—ისე სრულიად დამოუკიდებელი, ვალდებულია, თავისი ხელმძღვანელის პირადი პასუხის მგებლობით, წარადგინოს მიმდინარე სტატისტიკური ანგარიშგება ამიერკავკასიის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს პროგრამისა, ფორმისა და ინსტრუქციის თანახმად, თანაც:

ა) მიმდინარე სტატისტიკური ანგარიშგების ყოველთვიური ბლანკი **ა** და წლიური ბლანკი **ბ** წარედგინება სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ქვემდებარე სამრეწველო საწარმოს მიერ—სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და დანარჩენ საწარმოთა მიერ—რესპუბლიკის ცენტრ. სტატისტიკურ სამმართველოს არა უგვიანეს იმ თვის 15-ს რიცხვისა, რომელიც საანგარიშო პერიოდს მოსდევს.

ბ) სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო მას შემდეგ, რაც სათანადო კრიტიკას გაუკეთებს და შეამოწმებს თავის ქვემდებარე სწარმოთაგან მიღებულ **ა** და **ბ** ბლანკებს,—გაუგზავნის მათ სათანადო ცენტრ. სტატისტიკურ სამართველოებს არა უგვიანეს იმ თვის 20-ს რიცხვისა, რომელიც საანგარიშო პერიოდს მოსდევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) შრომის აღრიცხვის 1 №-ისა და სამუშაო ხელფასის აღრიცხვის 2 №-ის ყოველთვიურ ბარათებს სამრეწველო საწარმო შეადგენს სამ ცალად, რომელთაგან ერთი დარჩება საწარმოში, ერთი გაეგზავნება სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და ერთიც—შრომის სტატისტიკის რესპუბლიკანურ ბიუროს არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 5 ს რიცხვისა, ხოლო 2 №-ის ბარათი—არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის დამლევისა.

შენიშვნა. სტატისტიკური ანგარიშგების ბლანკებისა და ბარათების ფორმებს რესპუბლიკანური ცენტრი. სტატისტიკური სამმართველო გაუგზავნის სამრეწველო საწარმოთ სახელმწიფო ენაზე.

2. 1-ლ ხუხლში აღნიშნული ყველა სამრეწველო საწარმო, რომელიც დაწესებულ ცენზს (მუხლი მე-3) შეეფერება, ვალდებულია არა უგვიანეს 15 დღისა, ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან, აცნობოს რესპუბლიკის ცენტრ. სტატისტ. სამართველოს სრული სახელწოდება საწარმოსი და სწორი მისამართი.

3. 1-ლ და მე-2 მუხლში აღნიშნული ანგარიშგებისა და ცნობების წარდგენა სავალდებულოა ყველა სამრეწველო საწარმოსათვის, რომელსაც ჩვეულებრივად 16 მუშაზე ნაკლები არა ჰყავს, როცა საწარმოში მექანიკური მამოძრავებელია, ან 30 მუშაზე ნაკლები არა ჰყავს, როცა საწარმოში მექანიკური მამოძრავებელი არ არის,—შემდეგი გამონაკლისით:

ა) სამთო და სამთო-საქარხნო მრეწველობის ყველა სამრეწველო საწარმო ვალდებულია წარადგინოს სტატისტიკური ანგარიშგება მიუხედავად იმისა, თუ რამდენი მუშა ჰყავს.

შენიშვნა. სტატისტიკური ანგარიშგების აღნიშნული ფორმების წარდგენის ვალდებულება არ გავრცელდება სამთო და სამთო-საქარხნო მრეწველობის შინა-მრეწველობაზე, რომელიც მოქმედებს ოჯახის ძალებით მუშა-ხელის დაუქირავებლად, ხოლო შინა-მრეწველის ნამუშევარი უსათუოდ უნდა აღრიცხოს იმ დაწესებულებამ და საწარმომ, რომელსაც შინა-მრეწველი თავის ნაწარმოებს ჩააბარებს!

ბ) ტყავეულობის ქარხანა, რომელსაც ათზე მეტი სათრიმლე ქვაბი აქვს ან სამზე მეტი სათრიმლე დაფი, მიუხედავად მუშათა რიცხისა.

გ) ყოველი აგურის ქარხანა, განუწყვეტლივ მომქმედი ღუმელით (ჰოფმანისა და სხვ.)

დ) ყოველი შუშის ქარხანა გენერატორული ღუმელით, მიუხედავად იმისა, თუ რამდენი მუშაა და არის თუ არა მამოძრავებელი.

ე) ყოველი სტამბა, სადაც მუშათა რიცხვი 15 კაცს აღემატება, თუნდაც მამოძრავებელი არა ჰქონდეს.

ვ) ყოველი წისქვილი, სადაც მფქვავ ერთეულთა საერთო რიცხვი ხუთზე ნაკლები არ იქნება, მიუხედავად მუშათა რიცხვისა.

შენიშვნა. მფქვავ ერთეულად უნდა ჩაითვალოს საფქვავი დგამი (წისქვილის ქვა ყოველგვარი ზომისა ან სავალცო დაზგა, რამდენი ღერძიც უნდა ჰქონდეს).

ვ) ყველა სარეკტიფიკაციო ქარხანა და კონიაკის ქარხანა.

ზ) დანარჩენი საწარმონი, რომელნიც სიდიდით აღნიშნულ ცენზზე ნაკლები იქნებიან, და რომელთაც ა/კ. ს. ფ. ს. რ-ის ეკონომიკისათვის თვალსაჩინო მნიშვნელობა ექნებათ,—შეიძლება შეტანილ იქნენ სტატისტიკური ანგარიშგება-ვალდებულ საწარმოთა ნუსხაში ა/კ. ცენტრ. სტატისტიკური სამმართველოს ან რესპუბლიკანური ცენტრ. სტატისტიკური სამმართველოს განსაკუთრებული დადგენილებით.

4. 1-ლ და მე-2 მუხლში აღნიშნული ყველა სამრეწველო საწარმო ვალდებულია სტატისტიკური ანგარიშგების წარმოება დააკისროს ერთ რომელსამე თანამშრომელს და დაუსახელოს ხოლმე იგი სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებს (ამ უკანასკნელთა მოთხოვნისამებრ) უშუალო ინსტრუქტორობის გასაწევად.

5. უკეთუ სამრეწველო საწარმო დადგენილ ვადაზე არ წარადგენს მიმდინარე სტატისტიკურ ანგარიშგებას ან წარადგენს ისეთ ცნობებს, რაც პროგრამის მოთხოვნას არ შეეფერება, სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოს,—გარდა იმისა, რომ პასუხისგებაში მისცემს საწარმოს ხელმძღანელს,—უფლება აქვს გაჰგზავნოს თავისი თანამშრომელი, რათა საჭირო ცნობები შეჰკრიფოს და შეამოწმოს ადგილობრივ—სამრეწველო საწარმოში; ამასთანავე ხარჯი, რაც საჭირო იქნება წარვლინებული პირის დასაკმაყოფილებლად სამუშაო ხელფასით და ყოველგვარი კმაყოფით (დღიური, სამგზავრო და სხვ.), დაეკისრება სამრეწველო საწარმოს.

6. არც ერთ სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ დაწესებულებას და ორგანიზაციას არ შეუძლიან სტატისტიკური ცნობების წარდგენა მოითხოვოს უშუალოდ სამრეწველო საწარმოსაგან და ტრესტისაგან, არამედ უნდა მიმართოს: სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ქვემდებარე საწარმოთა შესახებ—სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, ხოლო დანარჩენ საწარმოთა შესახებ და აგრეთვე საჯუმლო ცნობების შესახებ,—სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებს.

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. ს. ფ. ს. ოესპუბლიკის სახალხო კომისართა
საბ. საქ. მმართველის თანამდებობის დრ. აღმ. **ნ. სოკოლსკი.**

ტფილისი-სასახლე. 1925 წლის აპრილის 30.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 868 №-ში 1925 წ. მაისის 7-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

418. ს. ს. რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ საბინაო კოოპერაციის თაობაზე 1924 წლის აგვისტოს 19-ს თარიღით გამოცემული დადგენილების განხორციელების ღონისძიებათა შესახებ.

ს. ს. რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებული კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ საბინაო კოოპერაციის შესახებ 1924 წლის აგვისტოს 19-ს თარიღით გამოცემული დადგენილების 15 და 39 მუხლის თანახმად,—რომელი დადგენილებაც ა/კ. ს. ფ. ს. რ-ის ტერიტორიაზე შემოღებულ იქნა სამოქმედოდ ა/კ. ცენტრალური აღმასრულებული კომიტეტისა და ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წლის სექტემბრიის 22-ს დადგენილებით (ა/კ. ს. ფ. ს. რ-ის კანონთა და განკარგ. კრებული 1924 წ. № 7, მუხ. 244),—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომატეტი ადგენს:

1. საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობას, რომელიც დაარსდება ს. ს. რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წლის აგვისტის 19-ს დადგენილებისა და ამა დადგენილების წესისამებრ, დანარჩენ თანასწორ პირობებში აქვს უპირატესი უფლება, ყველა სხვა თანა-მაძიებელთან შედარებით,—დაიქირაოს მუნიციპალიზაცია-ქმნილი შენობა.

შენიშვნა. შენობის დაქირავებისათვის საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობას არ აქვს უპირატესი უფლება სახელმწიფო საწარმოსთან და დაწესებულებასთან შედარებით, უკეთუ უწყებულ შენობაში არა სცხოვრობს 60 პროცენტზე ნაკლები იმავე საწარმოს თუ დაწესებულების მუშა-მოსამსახურეებისა, რომელთაც გამოსთქვეს თანხმობა—ეს სახლი მიკერძებულ იქნეს საწარმოზე თუ დაწესებულებაზე.

2. მუშათა საბინაო-საალმშენებლო კოოპერატიულ ამხანაგობას დანარჩენ თანასწორ პირობებში აქვს უპირატესი უფლება, ყველა სხვა თანა-მაძიებელთან შედარებით, ქალაქად აღნაგობისა და აგრეთვე მიწის ნაკვეთების იჯარით მიღებისა ქალაქის მიჯნის გარეშე.

3. იმ საცხოვრებელი სივრცის სარგებლობის ნორმა, რაც მიეცემა საერთო-სამოქალაქო და მუშათა საბინაო-საალმშენებლო კოოპერატიული ამხანაგობის წევრს, განისაზღვრება ქალაქისა და მაზრის აღმასრულეაელი კომიტეტის განსაკუთრებული დადგენილებით; ამასთანავე საცხოვრებელი სივრცის საერთო სანიტარული ნორმა, რაც უწყებულ ადგილას მოქმედებს, შეიძლება ამ შემთხვევისათვის გადიდებულ იქნეს.

4. წესდებით განსაზღვრული დამატებითი პასუხისმგებლობა საერთო-სამოქალაქო საბინაო-საალმშენებლო ამხანაგობის წევრისა არ შეიძლება აღემატებოდეს ხუთჯერ გამრავლებულ პაის რაოდენობას.

5. ყოველგვარი საბინაო კოოპერატიული ამხანაგობის წესდება გატარებულ უნდა იქნეს საბინაო კოოპერაციის კავშირის რეგისტრაციაში ამხანაგობის დაარსების ადგილის მიხედვით; იქ, სადაც აღნიშნული კავშირი არ არსებობს, ამხანაგობა გატარებულ იქნება ადგილობრივი მეურნეობის განყოფილების (კომუნალური განყოფ.) რეგისტრაციაში.

9. ყოველგვარი საბინაო კოოპერეტიული ამხანაგობა განთავისუფლდება საცხოვრებელი სივრცის განსაზღვრული ნაწილის კომუნალურ ფონდში ნატურად გადაცემისაგან, სადაც ეს სავალდებულო გადაცემა დაწესებულია.

7. ყოველგვარი საბინაო-კოოპერატიული ამხანაგობის ნორმალურ წესდებას გამოსცემს ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ამა დადგენილებისა და ს. ს. რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ საბინაო კოოპერაციის შესახებ 1924 წლის აგვისტოს 19-ს თარიღით გამოცემული დადგენილების საფუძველზე.

8. ყოველგვარი საბინაო-კოოპერატიული ამხანაგობა, რომლის წესდებაც ნორმალურ წესდებას არ შეეფერება, შეიძლება გადავიდეს ახალ წესდებაზე, როცა საამისო დადგენილებას გამოიტანს წევრთა საერთო კრება. ახალ წესდებაზე აადასვლის შესახებ შეტანილ უნდა იქნეს განცხადება საათანადო აღმასრულებელ კომიტეტში და ეს უნდა ეცნობოს საბინაო კოოპერაციის საათანადო კავშირს; განცხადებას ხელი უნდა მოაწეროს ამხანაგობის იმდენმა წევრმა, რამდენიც, თანახმად ს. ს. რესპუბლიკების კავშირის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ საბინაო კოოპერაციის შესახებ 1924 წლის აგვისტოს 19-ს თარიღით გამოცემული დადგენილებისა, საჭიროა საბინაო-საიჯარო ამხანაგობის დასაარსებლად.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ხანოიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი—სასახლე. 1925 წლის აპრილის 27.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 870 №-ში 1925 წლის მაისის 9-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კ. რკინის გზების გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირისა.

1925 წ. მაისის 11.

(ოქმი № 2/6).

419. **ზემოავჭალის ჰიდრო-ელექტრო სადგურისა და საალმშენებლო საზოგადოების „შინარარი"-ს განთავისუფლების შესახებ დამატებითი გამოსაღებისაგან ქვიშისა და ხრეშის გადაზიდისათვის.**

1. ზემოავჭალის ჰიდრო-ელექტრო სადგურის დამატებითი გამოსაღებისაგან განთავისუფლების შესახებ სადგურის კიდეების ნაგებობისათვის 2.000 ქვიშა და ხრეშის გადაზიდვის დროს.

2000 ვაგონი ქვიშისა და ხრეშის (38 ჯგუფი, 27 პოზიც. ს. ს. რ. კავშირის რკ. გზ. ტარიფების კრებულის I-ლი ნაწ.) გადაზიდვის დროს ა/კ. რკ. გზ. გომისა და სკრის სადგურებიდან ავჭალის სადგურამდე ზემოავჭალის ჰიდრო-ელექტრო სადგურის კომიტეტის მისამართით ქვემოდ ჩამოთვლილი დამატებითი გამოსაღები: 1) საწილე გამოსაღები დატვირთვისა და გადმოტვირთვისათვის და 2) გამოსაღები აწონისათვის—გადახდევინებულ არ უნდა იქნეს.

საგადასახიდო ფასი გადახდევინებულ უნდა იქნეს საერთო საფუძველზე.

შეღავათი ესე შემოღებულია გამოქვეყნებიდან შვიდი დღის გასვლის შემდეგ და დაწესებულია ვადით 1925 წ. ნოემბრის 1-დე.

საალმშენებლო საზოგადოების „შინარარი"-ს საჭიროებისათვის ეჩმიაძინის კარიერიდან ერევნის სადგურამდე ქვიშისა და ხრეშის გადაზიდვის დროს დამატებითი გამოსაღების რაოდენობის შემცირების შესახებ.

ქვიშისა და ხრეშის (38 ჯგუფი, 27 პოზიც. ს. ს. რ. კავშ. რკ. გზ. ტარიფების კრებულის მე-II ნაწ.) გადაზიდვა ეჩმიაძინის კარიერიდან ა/კ. რკ. გზ. ერევნის სადგურამდე საალმშენებლო საზოგადოების „შინარარი"-ს მისამართით განთავისუფლებულ იქნეს დამატებითი საწილე გამოსაღებისაგან დატვირთვისა და გადმოტვირთვისათვის, ხოლო გამოსაღები აწონისათვის გადახდევინებულ იქნეს შემცირებული რაოდენობით—თითო მან. ვაგონზე. საგადასახიდო ფასი გადახდევინებულ უნდა იქნეს საერთო საფუძველზე.

შეღავათი ესე დაწესებულია ვადით 1925 წ. ოქტომბრის 1-დე და სამოქმედოდ შემოღებულია გამოქვეყნებიდან შვიდი დღის გასვლის შემდეგ.

ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო
სატარიფო თათბირის თავმჯდომრის მოადგილე **გ. გ. ფიცხელაური.**

ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო
სატარიფო თათბირის საქმეთა მმართველი **ა. მ. ვერდერევსკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 873 №-ში 1925 წ. მაისის 19-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 41 ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატისა.

(მოწესრიგების სამმართველოსათვის)

1925 წ. მაისის 13.

420. ფართლეულობის ფასების წანამატის შესახებ ბითუმად გაყიდვის დროს.

„ა/კ ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების“ თაობაზე ა/კ. ცენტრ. აღმ. კომიტეტის მიერ 1924 წ. ივნისის 26-თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხ. „გ“ პუნქ. თანახმად—ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი თავისი, ა/წ. თებერვლის 12-ს თარიღითა და 26 №-რით გამოცემული, დადგენილების გასაუქმებლად და თავისივე, ა/წ. იანვრის 5-ს თარიღითა და 23 №-რით გამოცემული („ზარია ვოსტოკა“-ს 774 №-რი ა/წ. იანვრის 9-სა), დადგენილების 1-ლი §-ს შესაცვლელად—ადგენს:

1. საფეიქრო ნაკეთობის საბითუმო გაყიდვა ყველა იმ სახელმწიფო ორგანოსა და კოოპერატიული შენაერთის ტფილისისა, ბაქოს და განჯის საწყობებში, რომელიც ფართლეულობას ბითუმად გასცემს ხოლმე, უნდა სწარმოებდეს სათანადო ტრესტების მომქმედი პრეისკ. ფასებზე შემდეგი რაოდენობის წანამატით:

ა) სახელმწიფო ვაჭრობისა და კოოპერაციისათვის:

	ბამბისა	მოსკ. მაუდი.	მოსკ. მრეწ.	შინა-მაუდი	შინ. ტრიკ.	ლენინ-გრ.	სხვ.	საკამაგ.	სელ. ფაბრ.	წით. ფაბრ.	სელ. ფაბრ.	სხვ.
ბაქო.	11,75 პრ.	4,5 პრ.	ტრეს. ფას.		7,5 პრ.	6 პრ.	3 პრ.	3,5 პრ.	7 პრ.		4 პროც.	
განჯა.	11,75 პრ.	5 პრ.	0,5 პრ.		9 პრ.	6,5 პრ.	3,5 პრ.	3.5 პრ.	7 პრ.		4 პროც.	
ტფილ.	11,75 პრ.	5 პრ.	0,5 პრ.		8 პრ.	6,5 პრ.	3,5 პრ.	3.5 პრ.	7 პრ.		4 პროც.	

ბ) კერძოთათვის.

ბაქო.	13,25 პრ.	6 პრ.	1 პრ.		8,5 პრ.	7 პრ.	4 პრ.	5 პრ.	8,5 პრ.	5,5 პროც.		
განჯა.	13,25 პრ.	6,5 პრ.	1,5 პრ.		9 პრ.	7,5 პრ.	4,5 პრ.	5 პრ.	8,5 პრ.	5,5 პროც.		
ტფილ.	13,25 პრ.	6,5 პრ.	1,5 პრ.		9 პრ.	7,5 პრ.	4,5 პრ.	5 პრ.	8,5 პრ.	5,5 პროც.		

2. ზემოაღნიშნული, ა/წ. იანვრის 5-ს თარიღისა და 23 №-რის დადგენილების მე-2, 3, და 4 პარაგრაფები დატოვებულ იქნეს ძალაში.

3. ა/კ. შინა-ვაჭრობის რწმუნებულებმა ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალ ცალკე რესპ. მეთვალყურეობა უნდა იქონიონ ამა დადგ. სისწორით აღსრულებისათვის.

4. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

5. დადგენილება ესე ძალაში შედის ამა წლის მაისის 1-დან.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახ. კომისრის მოადგილე **გამყრელიძე.**

მოწესრიგების სამმართველოს უფროსი **სტეფანიანი.**

საქმეთა მმართველი **ეირანოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 875 №-ში 1925 წ. მაისის 15-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 37 აპ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

(მოწესრიგების სამმართველოსათვის)

1925 წ. აპრილის 30.

421. პაპიროსის უკიდურესი საეტიკეტო ფასების შესახებ.

„ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების“ თაობაზე ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1924 წ. ივნისის 26 თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხ. „გ“ პუნ. თანახმად—ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს მთლად ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს ტერიტორიაზე პაპიროსის შემდეგი უკიდურესი საეტიკეტო ფასები, ს. ს. რ-ს კავშ. ცენტრ. აღმ. კომიტეტისა და სახალხო კომ. საბჭ. 1924 წ. ოქტომბრის 3-ს დადგენილებით დაწესებული აქციზის განაკვეთების ჩათვლით:

1-ლი ხარისხის	„ა“	შეხვეული	100	ცალი	92 კაპ.
„	„	„ „	25	„	24 „
„	„	„ „	10	„	10 „
„	„	„ „	100	„	76 „
„	„	„ „	25	„	20 „
„	„	„ „	10	„	8 „
მე-2 ხარისხის	„ა“	შეხვეული	100	ცალი	52 კაპ.
„	„	„ „	25	„	14 „
„	„	„ „	20	„	11 „
„	„	„ „	10	„	6 „
„	„	„ „	100	„	40 „
„	„	„ „	20	„	9 „
„	„	„ „	10	„	5 „

2. ზემოაღნიშნული პაპიროსის შეხვევა ნებადართულია: 1-ლი ხარისხის „ა“ და „ბ“-სათვის—100 ცალად, 25 ცალად და 10 ცალად, მე-2 ხარისხის „ა“-სათვის—100 ცალედ, 25 ცალად, 20 ცალად და 10 ცალად, მე-2 ხარისხის „ბ“-სათვის—100 ცალედ, 20 ცალად და 10 ცალად.

3. პაპიროსის რეალიზაციის დროს ა/კ. ფ. ს. რ-ს ფარგლებში, ხოლო იმ რესპუბლიკის ფარგლების გარე, სადაც პაპიროსია დამზადებული, ამა დადგენილების 1-ლ მუხლში დაწესებულ ფასებს წაემატება 1 კაპ. კოლოფზე.

4. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში დაწესებული უკიდურესი საეტიკეტო ფასები არ გავრცელდება უმაღლესი ხარისხის პაპიროსზე.

5. დანორმილი ხარისხების პაპიროსის თვითეულ ხვეულზე (რაშიაც მოთავსებულია) აღნიშნული უნდა იყოს: ა) ფაბრიკის ან სახელოსნოს სახელწოდება, ბ) ფაბრიკისა თუ სახელოსნოს მდებარეობის ადგილის სახელწოდება, გ) პაპიროსის სახელწოდება (მარკა და ნომერი), დ) თამბაქოს წონა ათას ცალში, ე)

პაპიროსის რაოდენობა ხვეულში, ვ) პაპიროსის ხარისხი, ზ) საეტიკეტო ფასი და თ) წარწერა: „აღნიშნულ ფასზე ძვირად გაყიდვა დაისჯება კანონისამებრ“.

6. ამა დადგენილების 1-ლ მუხ. აღნიშნული ხარისხების პაპიროსი გამოიშვება რბილ სახვევში (ხვეულში), გარდა პირველი ხარისხის „ა“-ისა, რაც ნებადართულია გამოიშვას მაგარ სახვევში ამა დადგენილების 1-ლ მუხ. დაწესებული საეტიკეტო ფასით.

7. ყველა თამბაქოს ფაბრიკა და პაპიროსის სახელოსნო მოვალეა წარუდგინოს, იმ არ-პირდაპირი გადასახადის აგენტის მეშვეობით, რომლის გამგებლობაშიაც იგი იმყოფება, ფინ. სახ. კომისარიტის რწმუნებულის (რესპუბლიკაში) და მისი რწმუნებულების (ავტონომიურ რესპუბლიკებში) სამმართველოებთან არსებულ არა-პირდაპირი გადასახადის ქვე-განყოფილებას და ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახლხო კომისარიატის სათანადო ორგანოს ცნობები ამა დადგენილების 1-ლ მუხ. აღნიშნულ ხარისხებისთვის საჭირო სახვევისა და ეტიკეტების მარაგის შესახებ, რაც დამზადებულია ან წარმოების პროცესშია, როგორც საკარტონაჟო სახელოსნოში და ლიტოგრაფიაში, ისე თვით ფაბრიკასა და პაპიროსის სახელოსნოში, და რაც არ შეესაბამება ამა დადგენილების მე-2, 5 და 6 მუხ. მოთხოვნას. აღნიშნული სახვევისა და ეტიკეტის გამოყენება ნებადართულია მხოლოდ იმ ფარგლებში, რაც წინადვე დაკვეთილი რაოდენობა და მარიგი წარდგენილია სააღნუსხვოდ, და იმ პირობით, რომ აუცილებლად დასმული ჰქონდეს შტემპელი ან დაკრული ჰქონდეს იარლიკი, თანაც აღნიშნული იყოს ხარისხი და ფასი.

შენიშვნა. უკეთუ სააღნუსხვოდ მიღებულ მეორე ხარის. „ა“ და „ბ“-ის პაპიროსის სახვევთა მარაგში აღმოჩნდება 25 ცალიანი ხვეული, უკიდურესი საეტიკეტო ფასი დაწესებულ უნდა იქნეს: მეორე ხარისხის „ა“-ს 25-ცალიანისათვის—14 კაპ., ხოლო მეორე ხარისხის „ბ“-ს 25-ცალ.—11 კაპიკი.

8. აღკრძალულია პაპიროსის გამოშვება სახელმწიფო საწარმოსა, კოოპერატიული ორგანიზაციისა და კერძო პირის მიერ უიმისოდ, რომ სახვევზე აღნიშნულ არ იქნეს ფასი, და შესრულებულ არ იქნეს სხვა, ამა დადგენილების მე-2, 5, 6 და 7 მუხლის მოთხოვნა.

9. ამა დადგენილებაში აღნიშნიული ფასები სავალდებულოა სახელმწიფო საწარმოსა, კოოპერატიული ორგანიზაციისა და კერძო პირთათვის მხოლოდ ისეთი პაპიროსის გაყიდვის დროს, რომელზედაც აღნიშნულია უკიდურესი საეტიკეტო ფასი და რომელსაც აქვს ამა დადგენილების მე-2, 5, 6 და 7 მუხ. დაწესებული ხვეული.

10. დაწესებულ იქნეს შემდეგი მინიმალური საეტიკეტო ფასების მონაკლები სახელმწიფო ფაბრიკების მიერ დამზადებული პაპიროსის ბითუმი და წვრილ-საბითუმო ვაჭრობისათვის:

ა) როცა პარტიობით გაიცემა ერთ ყუთზე მეტი—მონაკლები სავალდებულოა არა უმცირეს 15%-სა;

ბ) როცა გარიგება წვრილ-საბითუმოა—1-დან 70 ყუთამდე—ამრიცხვითურთ, არა უმცირეს 12%-სა.

შენიშვნა. ამა დადგენილების მე-10 მუხ. დაწესებული მინიმალური საეტიკეტო ფასის მონაკლები სახელმწიფო ფაბრიკების პაპიროსისათვის სავალდებულოა სახელმწიფო, კოოპერატიულ და კერძო ვაჭრობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალ ცელკე რესპუბლიკაში უნდა იქონიოს მეთვალყურეობა ამა დადგენილების სისწორით აღსრულებისათვის.

12. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვესისათვის.

13. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის
სახალხო კომისრის მოადგილე **გამყრელიძე.**

მოწესრიგების სამმართველოს უფროსი **სტეფანიანი.**

საქმეთა მმართველი **ეირანოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 876 №-ში 1925 წლის მაისის 16-ს.

დადგენილება № 23 ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი:

422. ამიერკავკასიისა და რესპუბლიკანური საფონდო კომისიების მოწყობის შესახებ.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ამიერკავკასიის სახელმწიფო ფონდების აღნუსხვისა და რეალიზაციის კომისიის დებულებისა (ა/კ. ს. ფ. ს. რ. მუშ. და გლ. მთავრ. კანონთა და განკ. კრებ. 1924 წ. მე-3 №-რი, მუხ. 65 და 66), „სახელმწიფო ფონდების აღნუსხვის შესახებ" ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1923 წ. აპრილის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილებისა (ა/კ. ს. ფ. ს. რ. მუშ. და გლ. მთავრ. კანონთა და განკ. კრებ. 1923 წ. მე-7 №-რი, მუხ. 90) და „ყოფილი სამხედრო უწყების სარკინისგზო ქონების აღნუსხვის კომისიის დაარსების შესახებ" ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1923 წ. მარტის 5-ს თარიღით გამოცემული დადგენილების (ა/კ. ს. ფ. ს. რ. მუშ. და გლ. მთავრ. კან. და განკ. კრებ. 1923 წ. მე-4 №-რი, მუხ. 34) გასაუქმებლად:

1. მოეწყოს ა/კ. ს. ფ. ს. რ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან, როგორც ფედერატიული და რესპუბლიკანური, ისე საერთო-საკავშირო სახელმწიფო ფონდების აღნუსხვისა და რეალიზაციისათვის—ამიერკავკასიის საფონდო კომისია, რომელშიაც შევლენ: თავმჯდომარედ—ა/კ. ს. ფ. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარი და წევრებად: ა/კ. ს. ფ. ს. რ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი და ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის თავმჯდომარე, ხოლო თავმჯდომარისა და წევრების არყოფნის დროს—მათი მოადგილენი,—და ა/კ. ს. ფ. ს. რ—ში შემავალი რესპუბლიკების უმაღლეს ეკონომიურ საბჭოებთან—რესპუბ-

ლიკანური საფონდო კომისიები, რომლებშიაც შევლენ: თავმჯდომარედ — ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებული და წევრებად: მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი და საგანგებო კომისიის თავმჯდომარე, ხოლო თავმჯდომარისა და წევრების არყოფნის დროს—მათი მოიდგილენი.

შენიშვნა. იმ საერთო-საკავშირო სახელმწიფო ფონდის აღნუსხვასა და რეალიზაციას, რაც ა/კ. ს. ფ. ს. რ. ტერიტორიაზეა, აწარმოებენ ამერიკავკასიისა და რესპუბლიკანური საფონდო კომისიები მარტოოდენ ს. ს. რ. კავშირის შრომისა და თავდაცვის საბჭოს კომისიის სპეციალური დავალებით.

2. კომისიებს დაეკისრებიათ: აღნუსხონ ის სახელმწიფო ქონება, რაც სახალხო კომისარიატების უშუალო განკარგულებაშია და არ არის შეტანილი მათ საინვენტარო სიებში ან რაც მათთვის მიკერძებული არ არის სპეციალური კანონდებულებით და დადგენილებით; აგრეთვე ის ქონება, რაც სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილ სახელმწიფო ორგანოების უშუალო განკარგულებაშია, ხოლო მათ საწესდებო კაპიტალში ჩარიცხული არ არის; ბ) აღნუსხონ, სათანადო ორგანოების მეშვეობით, მატერიალური და ფულადი ფონდები, რაც გადაეცა სახელმწიფო საწარმოთ მათი სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის დროს და რაც ჩარიცხულია მათ საწესდებო კაპიტალში, ხოლო რაც თავისი ხასიათით წარმოადგენს კაპიტალის საიმმობილო და არა-სალიკვიდაციო ნაწილს; გ) აღნუსხონ უპატრონო, საბეითალმანო და სასამართლოს წესით კონფისკაციაქმნილი ქონება დ) მოახდინონ, სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციებისა და კერძო პირთა მეშვეობით, აღნუსხვაზე აღებული ზემოაღნიშნული სახელმწიფო ფონდების რეალიზაცია.

3. ფედერატიული სახელმწიფო ფონდების აღნუსხვა და რეალიზაცია დაეკისროს ამერიკავკასის საფონდო კომისიას, ხოლო რესპუბლიკანურისა—რესპუბლიკანურ საფონდო კომისიებს.

შენიშვნა. ფედერატიული სახელმწიფო ფონდების აღნუსხვა და რეალიზაცია შეიძლება აწარმოონ რესპუბლიკანურმა კომისიებმა მარტოოდენ ამერიკავკასიის საფონდო კომისიის დავალებით.

4. ყველა საუწყებათაშორისო და საუწყებო ორგანიზაცია ამერიკავკასიის მასშტაბისა, რომელიც-კი სახელმწიფო ფონდების აღნუსხვასა და რეალიზაციას აწარმოებს, დაექვემდებაროს ამერიკავკასიის საფონდო კომისიას, ხოლო რესპუბლიკანური მასშტაბის ორგანიზაცია—სათანადო რესპუბლიკანურ კომისიას.

5. რესპუბლიკანურ საფონდო კომისიების მოქმედებისათვის სადირექტიო ხელმძღვანელობის გაწევა დაეკისროს ამერიკავკასიის საფონდო კომისიას. რესპუბლიკენური კომისიების მიერ შედგენილი მათ მიერ აღნუსხული ქონების რეალიზაციის გეგმა, ვიდრე იგი აღსრულებაში მოიყვანებოდეს, გაეგზავნება ამერიკავკასიის საფონდო კომისიას ცნობად.

6. ყოფილი სამხედრო უწყების სარკინისგზო ქონების აღნუსხვის საუწყებათაშორისო კომისია გადაკეთებულ იქნეს გზათა სახალხო კომისარიატის სახელმწიფო ფონდების აღნუსხვისა და რეალიზაციის ბიუროდ, რომელსაც ექნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა ამიერკავკასიის საფონდო კომისიის საუწყებო ფილიალის უფლებანი და იმოქმედებს ხსენებული კომისიის დირექტივით.

7. მე-2 და 3 მუხ. აღნიშნულ მოვალეობათა განსახორციელებლად ამიერკავკასიისა და რესპუბლიკანურ საფონდო კომისიებს ეძლევათ უფლება: ა) შეაჩერონ უწყების დადგენილება სახელმწიფო ფონდად აღიარებული ქონების ასე თუ ისე განაწილების შესახებ, უკეთუ კომისიები სცნობენ, რომ უწყების მიერ დასახული გამოყენება ამ ქონებისა მიზანშეუწონელია; ბ) შეამოწმონ სახელმწიფო დაწესებულებათა და სახელმწიფო საწარმოთა ანგარიშგება და აგრეთვე გამოიკვლიონ საწყობები და ქონება, რაც ამ დაწესებულებათა და საწარმოთა გამგებლობაშია.

8. რესპუბლიკანურ საფონდო კომისიას და სახელმწიფო ფონდების აღნუსხვისა და რეალიზაციის საუწყებო ორგანიზაციას ნება აქვს დანიშნოს ადგილობრივ, ადმინისტრატიულ ცენტრში, სადაც საჭირო იქნება, სპეციალური რწმუნებული კომისიის მუშაობის ჩასატარებლად, იმ პირთაგან, რომელნიც მეთაურობენ ადგილობრივ საფინანსო და სხვ. საუწყებო ორგანოებს.

9. ამიერკავკასიის რესპუბლიკანური საფონდო კომისიები თავის მოქმედების ანგარიშს აძლევენ: ამიერკავკასიის კომისია—ა/კ. ს. ფ. ს. რ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს, ხოლო რესპუბლიკანური კომისიები—სათანადო რესპუბლიკანურ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს.

შენიშვნა. ანგარიშს და ყველა საანგარიშო მასალას რესპუბლიკანური საფონდო კომისია გაუგზავნის ამიერკავკასიის საფონდო კომისიას.

10. სახელმწიფო ფონდების ფედერატიულ და რესპუბლიკანურ ფონდებად განაწილებას მოახდენს ამიერკავკასიის საფონდო კომისია, რესპუბლიკანურ საფონდო კომისიებთან შეთანხმებით, და დაამტკიცებს ა/კ. უმაღლესი ეკონომიური საბჭო.

11. ამიერკავკასიის და რესპუბლიკანური საფონდო კომისიების ტეხნიკური აპარატების ფუნქციები დაეკისროს ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატს—სახელმწიფო შემოსავლის სამმართველოს სახით—და ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულებს რესპუბლიკებში—კუთვნილებისამებრ.

12. კომისიების მუშაობით გამოწვეული ყველა ხარჯი გაწეულ იქნეს ფონდების რეალიზაციით შემოსული თანხებიდან, იმ პროცენტ-კი, რომ აღნიშნული ანარიცხი სამს პროცენტს არ აღემატებოდეს.

13. სახელმწიფო ფონდების რეალიზაციით მიღებული თანხები, მე-12 მუხ. აღნიშნული ხარჯების გამოკლებით, აგრეთვე ყველა ის ფულადი სახსარი, რაც ამიერკავკასიისა და რესპუბლიკანური საფონდო კომისიების განკარგულებაში შევა, მიქცეულ იქნეს ხაზინის შემოსავლად საერთო საკავშირო, ფედერატიულ და რესპუბლიკანურ ბიუჯეტებში—კუთვნილებისამებრ.

14. საფონდო კომისიების დადგენილებათა და განკარგულებათა აღსრულებლობისათვის დამნაშავენი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი სასამართლოს წესით ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების სათანადო მუხლისამებრ.

15. ამიერკავკასიის საფონდო კომისიის დადგენილება შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს ა/კ. ს. ფ. ს. რ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში, ხოლო დადგენილება რესპუბლიკანური კომისიისა—სათანადო რესპუბლიკის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში.

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის
თანამდებობის დრ. აღმასრულებელი **ნ. სოკოლსკი.**

ტფილისი—სასახლე. 1925 წ. აპრილის 30.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 876 №-ში 1925 წლის მაისის 16-ს.

განმარტება ამიერკავკ. შრომის სახ. კომისარიატისა.

1925 წ. მაისის 14.

423. შვებულებაში წასულთათვის მისაცემი სამუშაო ხელფასიდან და შვებულების გამოუყენებლობისათვის მისაცემი კომპენსაციიდან ამა თუ იმ დასაჭერი თანხის გამოუკლებლობის შესახებ.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი განმარტავს:

როდესაც მუშა-მოსამსახურე მორიგ ან დამატებითი შვებულებაში მიდის, არ შეიძლება დაეჭიროს მას არავითარი თანხა დამქირავებლის ვალისა ან მიცემული ავანსის დასაფარავად იმ სამუშაო ხელფასიდან, რაც მას შვებულებაში წასვლის დროს წინდაწინ ეძლევა. სწორედ ასევე არ შეიძლება დაჭერილ იქნეს რაიმე თანხა შვებულების გამოუყენებლობისათვის მისაცემ კომპენსაციიდან. როგორც შვებულების დროს ავანსად მისაცემი სამუშაო ხელფასი, ისე კომპენსაცია შვებულების გამოუყენებლობისათვის გაცემულ უნდა იქნეს უკლებლივ.

ამიერკავკასიის შრომის
სახალხო კომისრის მოადგილე **ა. იაშვილი.**

შრომის დაცვის განყოფილების გამგე **ს. გოდაბრელიძე.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 876 №-ში 1925 წლის მაისის 16-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 19 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

424. ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახ. კომ. ორგანოების მიერ წარმოებული სავაჭრო და სხვა საწარმოთა რეგისტრაციისათვის გადასახდევინებელი სახელმწიფო გამოსაღების შესახებ.

არსებულ სარეგისტრაციო გამოსაღებათა გასაუქმებლად დაწესებულ იქნეს ერთიანი სახელმწიფო გამოსაღები სავაჭრო და სხვა საწარმოთა რეგისტრაციასთან დაკავშირებული მოქმედებისათვის:

1. პირვანდელი რეგისტრაცია·

ა) ტრესტისა, სინდიკატისა, სააქციო საზოგადოებისა და აგრეთვე დაწესებულებათა სავაჭრო განყოფილებებისა . . . . . 25 მან.

ბ) სახელმწიფო სავაჭრო საწარმოთა და მათი შენაერთის წარმომადგენლობისა, აგრეთვე საერთო-საკავშირო მნიშვნელობის შერეული საზოგადოებისა ან ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შედგენილობის გარეშე მყოფი რესპუბლიკის შერეული საზოგადოებისა . . . . . 25 „

გ) კოოპერატიული ორგანიზაციისა . . . . . 1 „

დ) კოოპერატიული შენაერთისა . . . . . 5 „

ე) ამიერკავკასიის მასშტაბით მომქმედი საკრედიტო ღაწესებულებისა, სხვათა შორის, ს. ს. რესპუბლიკების კავშირის ბანკის განყოფილებისა 100 „

ვ) რესპუბლიკანური საკრედიტო დაწესებულებისა, სხვათა შორის, კომუნალური ბანკისა, საურთიერთო ნდობის საკრედიტო საზოგადოებისა და აგრეთვე ლომბარდისა . . . . . 25 „

ზ) პირველი საფეხურის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობისა . . . . . 1 „

თ) შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობისა . . . . . 15 „

ი) სრული ამხანაგობისა და ნდობის ამხანაგობისა . . . . . 10 „

კ) მარტივი ამხანაგობის მონაწილისა . . . . . 5 „

ლ) ერთპიროვანი სავაჭრო საწარმოსი . . . . . 3 „

მ) იმ უცხოეთის სავაჭრო საწარმოსი, რომელსაც ნებადართული აქვს ს. ს. რესპუბლიკის კავშირის ტერიტორიაზე სავაჭრო ოპერაციების წარმოება, და აგრეთვე ასეთი საწარმოს წარმომადგენლობისა . . . 500 „

2. ყოველი რეგისტრაცია უკვე რეგისტრაციაქმნილი ცნობების შემდგომი დამატებისა და ცვლილებისა, როცა ეს ცნობები შეეხება:

ა) 1-ლი მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტში აღნიშნულ საწარმოთ . . 5 „

ბ) 1-ლი მუხლის „გ“ და „დ“ პუნქტში აღნიშნულ კოოპერატიულ ორგანიზაციებს და მათ შენაერთს . . . . . 1 „

გ) 1-ლი მუხლის „ე“ პუნქტში აღნიშნულ საკრედიტო დაწესებულებას . . . . . 50 „

დ) 1-ლი მუხ. “ვ“ პუნ. აღნიშ. რესპ. საკრედიტო დაწესებულებას 15 „

ე) "ზ" პუნქტში აღნიშნულ პირველი საფეხურის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობას . . . . . 1 მან.

ვ) 1-ლი მუხლის "თ" და "ი" პუნქ. აღნიშნულ ამხანაგობას და აგრეთვე იმ მონაწილეთ, რომელნიც შეადგენენ მარტივ ამხანაგობას . 3 „

ზ) 1-ლი მუხლის "ლ" პუნქტში აღნიშნულ ერთპიროვან სავაჭრო საწარმოს . . . . . 2 „

თ) 1—ლი მუხლის „მ" პუნქტში აღნიშნულ უცხოეთის სავაჭრო საწარმოს . . . . . 200 „

3. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა და მისი რწმუნებულის სამმართველოს მიერ რეგისტრაციის გაკეთებასთან დაკავშირებით აღძრული საჩივრის საქმეთა წარმოებისათვის . . . . . 5 „

4. 1-ლი მუხლის "ა" "ბ" და "მ" პუნქტში და მე-2-რე მუხლის "ა" და "თ" პუნქტში აღნიშნულ სავაჭრო საწარმოთა რეგისტრაციის გამო მოხდენილი თვითეული ჩანაწერის ამოწერისათვის . . . . . 2 „

5. ყველა სავაჭრო და სხვა საწარმოთა, გარდა პირველი მუხლის "ა", "ბ" და "მ" პუნქტში და მე-2 მუხლის "ა" და "თ" პუნქტში აღნიშნულ საწარმოთა რეგისტრაციის გამო მოხდენილი ჩანაწერის ამოწერისათვის . . . . . 1 „

6. იურიდიულ პირთა რეგისტრაციაქმნილი ცნობებისა და ამ ცნობების შემდგომი რეგისტრაციაქმნილი ცვლილებისა და დამატების პუბლიკაციისათვის . . . . . 3 „

7. ყველა აღნიშნული გამოსაღები შეტანილ უნდა იქნეს უშუალოდ ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის სალაროში ხაზინის შემოსავალად.

8. ის ორგანები, რომელთაც დიკისრებული აქვთ რეგისტრაციის წარმოება, ვალდებულ არიან რეგისტრაციის დროს მოსთხოვონ რეგისტრაცია-მოსხდენ საწარმოს ხაზინის ქვითარი, რაც დაადასტურებს, რომ ზემოაღნიშნული სათანადო გამოსაღები შეტანილია ხაზინის შემოსავლად.

9. სავაჭრო და სხვა საწარმო, რომელიც ამა დადგენილებაში გათვალისწინებული არ არის,—გამოსაღებს გადაიხდის 1-ლი და მე-2 მუხლის სათანადო პუნქტის მიხედვით.

10. უკეთუ საწრმოს რეგისტრაციაზე უარი ეთქვა, გადახდევინებული გამოსაღები მას არ დაებრუნება.

11. ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატს უფლება ეძლევა, ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, გამოსცეს ხელმე ცირკულიარი ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ.
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახ. კომ. საბჭოს საქმეთა
მმართველის თანამდებ. დრ. აღმასრ. **ნ. სოკოლსკი.**

ტფილისი—სასახლე. 1925 წლის აპრილის 2.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა-"ს 879 №-ში 1925 წ. მაისის 20-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 28 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა.

1925 წლის აპრილის 30.

425. წარვლინებასთან დაკავშირებული ხარჯების კომპენსაციის შესახებ.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის მიერ „წარვლინებასთან დაკავშირებული ხარჯის კომპენსაციის შესახებ“ 1923 წლის მაისის 25-ს თარიღითა და 57 №-რით გამოცემული დადგენილებისა და ა/კ. შრომის სახ. კომ. მიერ „სისტემატიური მიმოსვლისათვის საწარვლინებო სასყიდლის შესახებ“ 1924 წლის ივნისის 15-ს თარიღით გამოცემული განმარტების გასაუქმებლად — ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატი, შრომის კანონთა კოდექსის 81 მუხლის თანახმად, ადგენს:

1. ვადა და ხანგრძლივობა იმ მუშა-მოსამსახურეთა წარვლინებისა, რომელნიც წარვლენილ იქნებიან სამსახურის საქმეების გამო, სისწორით უნდა იქნეს განსაზღვრული ამა თუ იმ პირის წარვლინებაში დანიშვნის დროს და უნდა აღინიშნოს საწარვლინებო დოკუმენტში.

წარვლინების ვადა ორ თვეს არ უნდა აღემატებოდეს.

შენიშვნა. უკეთუ საჭირო იქნება, წარვლინების ვადა შეიძლება სამ თვემდე გაადიდოს ან დაწესებულებისა ან საწარმოს ხელმძღვანელმა, რომელიც ამა თუ იმ მომუშავეს ჰგზავნის წარვლინებაში.

2. ვადის გადაცილებით გამოწვეული ხარჯის ანაზღაურება და მასთან დაკავშირებული სხვა სასყიდლის მიცემა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ ვადის გადაცილებისათვის თავის დროზე იქნა მიღებული ნებართვა იმ თანამდებობის პირისაგან, რომელმაც თვით წარვლინების ნება დაჭრთო, ან უკეთუ ვადის გადაცილების აუცილებლობა დამტკიცებული იქნება ოფიციალური დოკუმენტებით შემდგომ, წარვლინებიდან დაბრუნებისთანავე.

3. წასვლის დღე და წარვლინებიდან დაბრუნების დღე ჩაითვლება საწარვლინებო ვადაში.

4. წარვლინებულ მუშასა და მოსამსახურეს მთლად წარვლინებაში ყოფნის დროის განმავლობაში შეენახება ადგილი და საშუალო სამუშაო ხელფასი

შენიშვნა. საშუალო სამუშაო ხელფასი განისაზღვრება ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის მიერ 1924 წლის ივლისის 8-ს თარიღით და 102 ნომრით გამოცემული დადგენილებისამებრ.

5. დღიური წარვლინებულს მიეცემა მისი თვიური სამუშაო ხელფასის 1/24 ის რაოდენობისა, ხოლო არა ნაკლებ უწყებული დაწესებულებისა თუ საწარმოს მე-9 კატეგორიის სატარიფო განაკვეთისა.

6. წარვლინებასთან დაკავშირებულ ხარჯთაგან კომპენსაცია გაიცემა წარვლინებაში მყოფი პირის შემდეგი ფაქტიური ხარჯისათვის:

ა) მგზავრობა რკინისგზით, წყალსავალი გზით და სხვა გზით, თანახმად მომქმედი ტარიფისა; ამასთანავე, როდესაც წარვლინებული განუწყვეტლივ ვაგონში იმყოფება არა ნაკლებ ერთი დღე-ღამისა, ანაზღაურებულ უნდა იქნეს ღირებულება მაგარი ვაგონის პლაცკარტისა, ხოლო როდესაც წარვლინებული ვაგონში განუყვეტლივ ორ დღე-ღამეზე მეტს იმყოფება, ანაზღაურებულ უნდა იქნეს ღირებულება რბილი ვაგონის პლაცკარტისა.

როდესაც წარვლინება განსაკუთრებით სასწრაფოა, შეიძლება გაწეულ იქნეს ხარჯი ჩქარი მატარებლით ან მიმოსვლის სხვა ჩქარი საშუალებით მგზავრობისა, უკეთუ ეს აღნიშნული იქნება წარვლინების შესახებ გაცემულ ბრძანებაში.

ბ) მგზავრობა შარა-გზით—იმ პირობით კი, რომ წარდგენილ იქნეს იმ დაწესებულების მიერ შემოწმებული ანგარიში, სადაც წარვლინებული მივიდა მინდობილობით.

გ) გადაზიდვა ბარგისა 1 ფუთამდე—არსებული ტარიფისამებრ.

დ) მგზავრობა ეტლით ან სხვა საშუალებით, რის ხარჯებიც გაწეულ უნდა იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ წარვლინებული პირის გამგზავნელი დაწესებულებისა ან საწარმოს ხელმძღვანელი ნებას დაჰრთავს მას ისარგებლოს აღნიშნული საშუალებანი დაწესებულებისა ან საწარმოს ხარჯით.

ე) ღირებულება დროებითი საცხოვრებელი სადგომისა მივლინების ადგილას—ნამდვილი და აუცილებელი ხარჯის ფარგლებში, რაც დამტკიცებულ უნდა იქნეს შემოწმებული გამამართლებელი დოკუმენტებით.

შენიშვნა. აღნიშნული ხარჯი გაწეულ უნდა იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა უფასო სადგომის შოვნა შეუძლებელია.

7. ყოველი წარვლინებისათვის დღიურის გამოანგარიშება მოხდება წარვლინების ადგილის ზოლის მიხედვით.

8. ზემოაღნიშნული ყოველი ხარჯი მიიღება მხოლოდ იმ პირობით, თუ წარვლინებულს, თავისი პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ, ნამდვილად გაუწევია იგი; ამასთანავე ვოველი ხარჯი გამართლებულ უნდა იქნეს თანახმად მომქმედი ანგარიშგებ ის წესებისა.

9. წარვლინებაში მყოფი პირის მუშაობა არ განისაზღვრება საერთოდ დაწესებული სამუშაო დროით და ზედმეტი მუშაობისათვის სასყიდელი არ გაიცემა, უკეთუ შრომის ან კოლექტიურ ხელშეკრულებაში სხვა პირობები არ არის შეტანილი.

10. წარვნილებულს, რომელიც, დანიშნულ ადგილას მისვლისას, ავად გახდება, უფლება აქვს მიიღოს დახმარება დროებით შრომის უნარდაკარგულობისათვის იმ ადგილის სადასაზღვეო სალაროდან, სადაც იგი იმყოფება. ამ შემთხვევაში დაწესებულება წარვლინებულს არ შეუნახავს სამუშაო საშუალო ხელფასს, ხოლო დღიური უნდა მიეცეს საერთო წესისამებრ.

11. მუშას და მოსამსახურეს, რომელსაც შეთავსებით რამდენიმე თანამდებობა უჭირავს, ხოლო რომელსაც წარავლინებს ერთი რომელიმე დაწესებულება, იმ დაწესებულებათაგან, რომლებშიაც იგი შეთავსებით მუშაობს, უნდა ჰქონდეს წარვლინების ნებართვა არა გამგზავნელი დაწესებულების ხელმძღვანელისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გან. დღიური ასეთ მუშას თუ მოსამსახურეს მიეცემა იმ ხელფასის მიხედვით, რასაც იგი იღებს წარმავლინებელ დაწესებულებაში. ხოლო წარვლინებაში ყოფნის დროისათვის იმ ხელფასის მიცემა, რასაც წარვლინებული იღებს არა—წრმავლინებულ დაწესებულებაში, მოხდება იმ დაწესებულებათა ხელმძღვანელების შეთანხმების შითა, სადაც წარვლინებული შეთავსებით მუშაობს.

12. ისეთი წარვლინება, როდესაც წარვლინებულს შეძლება აქვს იმავე დღეს დაბრუნდეს თავის მუდმივ საცხოვრებელ ადგილას, ჩაითვლება ადგილობრივ წარვლინებად და ამ შემთხვევაში დღიური წარვლინებულს არ მიეცემა. ადგილობრივი წარვლინების დროს ანაზღაურებულ უნდა იქნეს მხოლოდ საგზაო ხარჯი იმ ფაქტიურ ხარჯის მიხედვით, რაც საჭიროა უწყებულ ადგილას არსებული მასსიური მიმოსვლის საშუალების გამოყენებისათვის (ქალაქის რკინის გზა, ავტობუსი და სხვ.).

13. იმ მუშისა და მოსამსახურისათვის, რომელიც თავისი სამსახურის ხასიათის გამო სისტემატიურ მგზავრობაშია, ნაცვლად ყველა კუთვნილი სასყიდლისა, შეიძლება დაწესებულ იქნეს მტკიცე ზედნართი ძირითადი ჯამაგირისა. აღნიშნული ზედნართი შეიძლება დაწესებულ იქნეს კოლექტიური ან შრომის ხელშეკრულობით.

14. უკეთუ წარვლინებული პირის მიერ წარდგენილი ხარჯების რაოდენობას დაწესებულების თუ საწარმოს ადმინისტრაცია არ დადასტურებს მისი გადამეტებულობის გამო, საკითხს გადასწყვეტს საკონფლიქტო-შემფასებელი კომისია.

15. წარვლინება ს. ს. რესპუბლიკების კავშირის ფარგლებს გარეთ ანაზღაურებულ უნდა იქნეს განსაკუთრებული წესისამებრ, რაც გათვალისწინებულია შრომის სახალხო კომისარიატისა, ფინანსთა სახალხო კომისარიატისა და გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ ს. ს. რესპუბლიკების კავშრის უცხოეთში მყოფი დაწესებულებების მომუშავეთა სასყიდლის შესახებ 1924 წლის თებერვლის 16-ს თარიღითა და 70—400 №-ით გამოცემულ დადგენილებაში.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო
კომისარი **ს. იაკუბოვი.**

ამიერკავკასიის შრომის სახ. კომ.
საერთო-საორგანიზაციო განყოფ. გამგე **ს. გოდაბრელიძე.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 879 №-ში 1925 წლის მაისის 20-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 34 ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

(სამრეწველო ნედლეულობის სამმართველოსათვის).

1925 წ. აპრილის 9.

426. **1925 წ. გაზაფხულისა და შემოდგომის ნაპარსი მატყლის უკიდურესი ფასების შესახებ.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ 1925 წ. მარტის 26 თარიღითა და 32 №-ით გამოცემული დადგენილების გასაუქმებლად, რომელი დადგენილებაც გამოქვეყნებულ იქნა ა/კ. ს. ფ, ს. რ. შინა-კაჭრობის სახალხო კომისარიატის 1925 წ. მარტის 27 თარიღის 33 №-რის ბიულეტენში „ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების“ შესახებ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1924 წ. ივნისის 21-ს თარიღით გამოცემულ დადგენილების მე-3 მუხ. „ბ“ და „ი“ ლიტერის თანახმად, ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს შემდეგი დასამზადებელი ფასები მეცხვარეთათვის მისაცემად ბინებზე თითო ფუთ გაურეცხავ ნორმალური თვისების მატყლში:

	გაზაფხულ.	შემოდგომისა
1. თუშური მატყლი . .	10.00	11.00
2. დონმა	9.50	10.45
3. აღბაბისა	9.00	9.90
4. ლეკური—ზაქათლისა . .	8.00	8.80
5. ლეკური—ნუხისა . . .	7.10	7.75
6. შიხლისა (თარაქამა) . .	5.50	6.00
7. განჯისა, ყაზახი, ელდერი (ბოზახი)	5.00	5.50
8. ლენინაკანის მაზეხი . .	5.00	5.50
9. ყარაბაღისა	4.40	4.80
10. ნახიჩევანისა	9.50	—
11. მერინოსისა	27.50	—

შენიშვნა. 1. ფასები დაწესებულია ტიპიური ჯიშის მატყლისათვის. საშიგა-და-შიგო ჯიშის მატყლი უნდა შეფასდეს სათანადო ტიპიური ჯიშების მატყლის საშუალო ფასის მიხედვით.

შენიშვნა. 2. ნორმალური თვისების მატყლად ჩაითვლება ისეთი მატყლი, რომელსაც სხვა რამ არა ურევია რა და არ არის აშმორებული, ნესტიანი, ჩაყვითლებული და ბირკიანი. წმინდა ბეწვის გამოსავალი ცივად გარეცხვის დროს უნდა იყოს გაზაფხულის ნაპარსისათვის 55 პროცენტი, ხოლო შემოდგომის ნაპარსისათვის—70 პროცენტი.

შენიშვნა 3. იმ მატყლის ფასი, რომელიც ზემოაღნიშნული გამოსავლისა და თვისების ნორმებს არ შეესაბამება, განისაზღვრება ამა დადგენილების საფუძვლებზე ურთიერთი შეთანხმებით.

2. დაწესებულ იქნეს ჩასაბარერებელი ფასები დამმზადებელთათვის მისაცემად ფრანკო-ვაგონი ტფილისი მარსელური ტიპისამებრ დახარისხებული და ბარდნებად შეხვეული თუშური მატყლისათვის: გაზაფხულის ნაპარსისათვის—15 მან. და შემოდგომის ნაპარსისათვის—16 მან.

შენიშვნა. სხვა ჯიშის მატყლის ფასები გამოიანგარიშება ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კალკულიაციისამებრ.

3. ამიერკავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულებმა ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალ რესპუბლიკებში და მათმა ადგილობრივმა ორგანოებმა უნდა იქონიონ მეთვალყურეობა ამა დადგენილების სისწორით აღსრულებისათვის.

4. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო-რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

5. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის
სახალხო კომისრის მოადგილე **გამყრელიძე.**

სამრეწველო ნედლეულობის სამმართვ. უფრ. **მარქარიანი.**

საქმეთა მმართველის მოადგილე **აბესაძე.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 881 №-ში 1925 წ. მაისის 22-ს

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

427. შრომის არტელების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. შრომის არტელი არის სხვადასხვა პირთა კავშირი, რომელსაც მიზნად აქვს—საერთო ძალით მოაწყოს და გააქირაოს თავის წევრთა ფიზიკური ან ინტელექტუალური შრომა და შეასრულოს, როგორც საერთო წესი, მუშაობა დამქირავებლის მასალით. შრომის არტელის წევრთა რაცხვი არ შეიძლება შვიდზე ნაკლები იყოს.

შენიშვნა. შრომის არტელის წევრად არ შეიძლება იყოს ისეთი პირი, რომელიც მოგების მიღების მიზნით დაქირავებული შრომის ექსპლოტაციას ეწევა.

2. შრომის არტელს უფლება აქვს, როცა ამა თუ იმ საქმეს ნარდი მუშაობის წესით ასრულებს, მიაწოდს სამუშაოს მიმცემს თავისი მასალა არა უმეტეს 5.000 მანეთის ღირებულებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. შრომის არტელი მოეწყობა განსაზღვრული წარმოებითი ნიშნის მიხედვით და იკისრებს მარტოოდენ თავისი ძირითადი სპეციალობის მუშაობის შესრულებას.

4. შრომის არტელის მიერ აღებული სამუშაო შესრულებულ უნდა იქნეს არტელის წევრთა პირადი შრომით; ამასთანავე არტელს უფლება აქვს მარტოოდენ ისეთი სამუშაოსათვის, რაც მისი მომსახურეობის სფეროს შეეხება ხოლო რასაც წევრები ვერ შეასრულებენ (საკანცელარიო მუშაობა, ტეხნიკური საკითხების შემუშავება და სხვ.), მიიწვიოს სამსახურში გარეშე პირნი, ისე კი, რომ მათი საერთო რიცხვი მთლად არტელის წევრთა შედგენილობის 10%-ს არ აღემატებოდეს.

5. ერთსა და იმავე დროს ორი—ერთი და იმავე სახის—შრომის არტელის წევრად ყოფნა არ შეიძლება.

6. ქვემოაღნიშნული წესით (მუხ. 11-13) რეგისტრაციაქმნილ შრომის არტელს აქვს იურიდიული პირის უფლება და, სხვათა შორის, აქვს ის უფლებაც, რომ მონაწილეობა მიიღოს საჯაარო ვაჭრობაში სამუშაოს აღებისთვის; ხოლო ან შემთხვევაში მას შეუძლიან მხოლოდ ისეთი მოქმედების წარმოება, რაც საჭიროა ამა დადგენილებით და არტელის წესდებით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.

7. შრომის არტელის სახსარს შეადგენს: შესასვლელი გადასახადი, პაი, არტელის მუშაობით მიღებული თანხის ანარიცხი, საკრედიტო დაწესებულებისა და კერძო პირისაგან სესხის ხელშეკრულებით მიღებული თანხა და აგრეთვე სახელმწიფო კრედიტი.

8. შრომის არტელზე გავრცელდება სამრეწველო კოოპერაციისათვის სასათანადო დადგენილებით დაწესებული შეღავათი.

9. შრომის არტელის მმართველი ორგანოებია: საერთო კრება და გამგეობა.

შენიშვნა. საერთო კრების დადგენილებით არტელის საქმეთა მმართველობა შეიძლება დაეკისროს ერთ პირს (მამასახლის), რომელიც გამგეობის ფუნქციებს შეასრულებს.

10. შრომის არტელის მოქმედების რაიონი, არტელში წევრად შესვლისა და გამოსვლის წესი, უფლება რაც არტელს ამა დადგენილების მე-6 მუხლის თანახმად ეძლევა, არტელის ვალდებულებისათვის წევრთა პასუხისმგებლობის ფარგლები და წესი, საერთო კრების ფუნქციები, მმართველობისა და კონტროლის ორგანოთა შედგენილობა, წესი და კომპეტენცია, არტელის საქმეთა ანგარიშგების სისტემა, საქმეთა რევიზიის წესი და არტელის ლიკვიდაციის წესი—განისაზღვრება არტელის წესდებაში ნორმალური წესდებისა და მომქმედი კანონების თანახმად.

11. შრომის არტელის დაარსება მოხდება მისი წესდების რეგისტრაციით; წესდებას რეგისტრაცია გაუკეთდება, არტელის დაარსების ადგილის მიხედვით, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სარეგისტრაციო კომისიაში ამა დადგენილების 12 და 13 მუხლში აღნიშნულ წესისამებრ.

შენიშვნა. შრომის არტელის წესდების განხილვის დროს რესპუბლიკის შრომის სახ. კომისარიატი გაჰგზავნის სარეგისტრაციო კომისიაში თავის წარმომადგენელს გადამწყვეტი ხმის უფლებით.

12. ვიდრე წესდება სარეგისტრაციო კომისიაში განიხილებოდეს, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო გაუგზავნის ერთ ცალ წესდებას რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატს, რომელიც მოვალეა, არა უგვიანეს ორი კვირისა წესდების მიღების დღიდან, წარადგინოს თავისი დასკვნა—შეიძლება თუ არა წესდების რეგისტრაცია.

შენიშვნა. წესდების რეგისტრაციის საკითხის გადაჭრის დროს შრომის სახალხო კომისარიატი იხელმძღვანელებს, როგოც ფორმალურ მოსაზრებას—შეეფერება თუ არა არტელის წესდება არსებულ კანონებს, ისე ცნობებს უწყებული ადგილის შრომის ბაზრის მდგომარეობის შესახებ.

13. უკეთუ რესპუბლიკის შრომის სახ. კომისარიატი, ან მისი წარმომადგენელი (სარეგისტრაციო კომისიაში) და სარეგისტრაციო კომისიის დანარჩენი წევრები ვერ შეთანხმდნენ, წესდებას რეგისტრაცია არ გაუკეთდება და კომისია საქმეს წარუდგენს განსახილველად რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს, ხოლო ამ უკანასკნელის მიერ საკითხის განხილვის დროს სავალდებულოა რესპუბლიკის შრომის სახ. კომისარიატისა, პროფ. კავშირთა საბჭოსი და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენელთა მონაწილეობა.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილება საბოლოოა.

14. შრომის არტელის წესდების შეცვლა და დამატება მოხდება ისეთივე წესით, როგორც რეგისტრაცია.

15. შრომის არტელმა, რომელიც მოისურვებს იკისროს შესასრულებლად ახალი სამუშაო სხვა რესპუბლიკაში, საამისო მოქმედების დაწყებისათვის უნდა მიიღოს სათანადო რესპუბლიკის შრომის სახ. კომისარიატის წინასწარი თანხმობა, თანაც აღნიშნული არტელი გატარებულ უნდა იქნეს სათანადო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სერეგისტრაციო კომისიის რეგისტრაციაში.

რესპუბლიკის შრომის სახ. კომისარიატის გადაწყვეტილება შეიძლება განსაზღვრებულ იქნეს ამა დადგენილების მე-12 მუხლში აღნიშნული წესისამებრ.

16. როდესაც შრომის არტელი მიწვეული იქნება სამუშაოდ შრომის ხელშეკრულობის წესით,—დამოკიდებულება მხარეთა შორის (სამუშაოს მიმცემსა და არტელს შორის) განისაზღვრება შრომის კანონთა კოდექსის 29 მუხლის 1-ლი შენიშვნისა და 30, 33 და 35 მუხლის წესების თანახმად.

17. როდესაც შრომის არტელი მიწვეულ იქნება სამუშაოდ ნარდი მუშაობის წესით, არტელის გამგეობამ ან მამასახლისმა უნდა შეასრულოს შრომის კანონთა კოდექსით დაწესებული შემდეგი მოვალეობა: ა) უნდა დაიცვას დადგენილებანი, რაც გამოცემულია უშიშროების ტეხნიკისა, სამრეწველო სანიტარიისა, ჰიგიენისა და ქალთა და არა-სრულწლოვანთა შრომის დაცვის სფეროში; ბ) უნდა შეიტანოს სადასაზღვეო გადასახადი სამკურნალო დახმარებისათვის და სადასაზღვეო უბედურ შემთხვევისაგან დაზღვევისათვის, რისთვისაც იხელმძღვანელებს იმ გასამრჯელოს რაოდენობას, რაც განსაზღვრულია არტელის წევრის შრომის სასყიდლად.

18. რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატი და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო განახორციელებენ არტელის მოქმედების ზედამხედველობას იმ თვალსაზრისით—შეეფერება თუ არა ეს მოქედება არსებულ კანონებსა და წესდებაში გათვალისწინებულ მიზნებს.

19. ის შრომის არტელი, სადაც აღმოჩენილ იქნება დაქირავებული შრომის გამოყენება ფარული ფორმით, ვალდებულია შეასრულოს სათანადო პირთა მიმართ ყველა მოვალობა, რაც შრომის კანონთა კოდექსიდან გამომდინარეობს.

20. შრომის არტელი, რომლის შესახებაც სასამართლო დაამტკიცებს, რომ დაქირავებული შრომა ფარულის ფორმით გამოუყენებია ან კანონისათვის გვერდი აუხვევია, გარდა იმისა, რომ პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით, სათანადო შემთხვევაში შეიძლება ლიკვიდაციაქმნილ იყოს არსებულ დებულებათა თანახმად.

21. შრომის კოოპერატიული ამხანაგობანი, რომელნიც ამა დადგენილების გამოცემის წამს არსებობენ, სამი თვის განმავლობაში დღიდან ამ დადგენილების გამოცემისა, ხელახლად უნდა იქნენ რეგისტრაციაში გატარებული ან როგორც შრომის არტელები, ან როგორც სამრეწველო კოოპერატიული ამხანაგობანი.

22. ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატს დაევალება, ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან და ა/კ. პროფ. კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით, გამოსცეს ხოლმე დამატებითი დადგენილება და ინსტრუქცია ამა დებულებისათვის და აგრეთვე გამოსცეს ერთი თვის განმავლობაში, იმავე უწყებებთან შეთანხმებით, შრომის არტელების ნორმალური წესდება.

23. დადგენილება ესე არ გავრცელდება ინვალიდთა შრომითი შენაერთზე, რომელსაც მოაწყობს სოციალური უზრუნველყოფის სახ. კომისარიატი და აგრეთვე კოლექტივზე, რომელსაც მოაწყობს შრომის სახ. კომისარიატი, რათა შრომითი დახმარება გაუწიოს უმუშევართ.

აღნიშნული შენაერთები და კოლექტივები მოეწყობიან და მოქმედებენ განსაკუთრებული კანონებით და ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს შრომის ხახ. კომისარიატისა და სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატის მიერ (კუთვნილებისამებრ) გამოცემული დადგენილებებით განსაზღვრულ საფუძველზე. უკეთუ შემდგომ ასეთი კოლექტივი (შენაერთი) გადაკეთდება შრომის არტელად, იგი წარადგენს თავის წესდებას რეგისტრაციისათვის ამა დადგენილების 11—13 მუხლში აღნიშნული წესისამებრ.

ა/კ. ცენტ. აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ხანოიანი.**

ა/კ. ცენტ. აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი-სასახლე. 1925 წლის აპრილის 27.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 883 №-ში 1925 წლის მაისის 24-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 26 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

428. სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებთან არსებულ საურთიერთო ანგარიშგასწორების განყოფილებათა შესახებ.

ს. ს. რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომ. საბჭოს მიერ სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებთან არსებულ საურთიერთო ანგარიშგასწორების განყოფილებათა შესახებ 1923 წ. ივლისის 3-ს თარიღით გამოცემული დადგენილების გამო—ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

გაუქმებულ იქნეს ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ტერიტორიაზე სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა საურთიერთო ანგარიშგასწორების შესახებ 1923 წ. ივნისის 16-ს თარიღითა და 56 №-ით გამოცემული დადგენილება (ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის კანონთა კრებული 1923 წ. № 9, მუხ. 127).

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მაგიერ **ა. ნაზარეთიანი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის თან. დროებით აღმასრ. **ნ. სოკოლსკი.**

ტფილისი- სასახლე 1925 წ. მაისის 21.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 883 №-ში 1925 წ. მაისის 24-ს.

დადგენილება № 27 ამიერკავკასიის ს. ფ. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

429. შრომის კანონთა კოდექსის ცვლილებათა შესახებ ამიერკავკასიის ცენტ. აღმ. კომ. მიერ 1925 წ. თებერვლის 2-ს თარიღით გამოცემული დადგინილების მე-5 მუხ. განმარტების შესახებ.

რათა თავიდან აცილებულ იქნეს მეტის-მეტად გაფართოებული აღსნა-განმარტება ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1925 წ. თებერვლის 2-ს დადგენილების (ა/კ. ს. ფ. ს. რ. კან. კრებ. 1925 წ. მე-2 №-რი, მუხ. 357) მე-5 მუხლისა—ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კრმისართა საბჭო ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

განმარტებულ იქნეს, რომ ზემოაღნიშნული დადგენილების მე-5 მუხ. შენიშვნის სიტყვებით: „უმუშევართა განსაზღვრული ჯგუფები“—იგულისხმებიან მარტოდენ დემობილიზაციით განთავისუფლებულნი მუშათა და გლეხთა წითელი არმიიდან და მუშათა და გლეხთა წითელი ფლოტიდან.

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო
კომის. საბჭოს თავმჯდომარის მაგიერ **ა. ნაზარეთიანი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის თანამდებ. დრ. აღმ. **ნ. სოკოლსკი.**

ტფილისი—სასახლე. 1925 წლის მაისის 21.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 883 №-ში 1925 წლის მაისის 24-ს.

დადგენილება № 35 აკ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

(მოწესრიგების სამმართველოსათვის)

1925 წ. აპრილის 18.

430. ნახიჩევანის ქვა-მარილის ფასების შესახებ.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ ამიერკავკასიის ცენტრ. აღმ. კ-ტის მიერ 1924 წ. ივნისის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხ. „გ“ პუნ. თანახმად ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის კომისიის მე-15 №-რის დადგენილების („ზარია ვოსტოკა“-ს 550 №-რი 1924 წ. აპრილის 13-სა) გასაუქმებლად ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს შემდეგი უკიდურესი საბითუმო (ვაგონობით) საგასაცემო ფასები ნახიჩევანის ქვა-მარილზე:

ა) ფრანკო-ვაგონი შახტატისა და ნახიჩევანის სადგურზე:

სახელმ. ვაჭრობ. და კოოოპერაციისათვის	**კერძო პირთ.**
1 ფუთი—40 კაპ.	42 კაპ.

ბ) ფრანკო-ვაგონი ტფილისის სადგ.

სახ. ვაჭრ. და კოოპ.	**კერძო პირთ.**
1 ფუთი—56 კაპ.	58 კაპ.

გ) ფრანკო-ვაგონი ა/კ. რკ. გზის რომელი სადგ. უნდა იყოს აღმოს. საქ.

სახ. ვაჭრ. და კოოპ.	**კერძო პირთ.**
1 ფუთი—57,5 კაპ.	59,5 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. დაწესებულ იქნეს შემდეგი უკიდურესი წვრილ-საბითუმო და ცალობითი საგასაცემო ფასები ნახიჩევანის ქვა-მარილზე:

დ) ფრანკო-საწყობი და დუქანი სახელმ. ვაჭრობისა და კოოპერ. ქ. ტფილისში:

1 ფუთი —66 კაპ.

ე) ფრანკო-განყოფილება ცეკავშირისა პირველი საფეხ. კოოპერატივთათვის მისაცემად:

1 ფუთი—64 კაპ.

ვ) ფრანკო-საწყობი და დუქანი სახ. ვაჭრობისა და კოოპერაციისა აღმოსავლეთი საქართველოს ყველა ქალაქსა და ადგილას, რომელიც ა/კ. რკ. გზ. სადგურებზეა:

1 ფუთი—67 კაპ.

3. დაწესებულ იქნეს შემდეგი უკიდურესი წვრილ-საბითუმო და ცალობითი საგასაცემო ფასები ნახიჩევანის ქვა-მარილზე პირველი საფეხურის კოოპერატივებისათვის აღმოსავლეთ საქართველოში:

ზ) იმ ადგილას, რომელიც მდებარეობს რკ. გზ. სადგურიდან: არა უმეტეს 10 ვერსის მანძილისა—1 ფუთზე - 88 კაპ.; 25 ვერს.—1 ფუთზე 1 მან. და 5 კაპ.; 50 ვერს.—1 ფუთზე 1 მან. 15 კაპ.; 100 ვერს. და მეტ მანძილზე—1 ფუთზე 1 მან. 55 კაპ.

4. დაევალოს ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთ აზერბაიჯანის სოც. საბჭ. რესპუბლიკასა და სომხეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკაში—დააწესონ სათანადო რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემდგომი საბითუმო და ცალობითი საგასაცემო ფასები ნახიჩევანის ქვა-მარილზე სახელმწიფო ვაჭრობისა, კოოპერაციისა და კერძო პირთათვის.

5. შინა-ვაჭრობის სასალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში შემავალ სათანადო რესპუბლიკაში იქონიოს ზედამხედველობა ამა დადგენილების სისწორით აღსრულებისათვის.

6. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

7. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა ამიერკავკასიის ბიულეტენში, ე. ი. ა/წ. აპრილის 22-დან.

შინა-ვაჭრობის სახალხო კომისრის
მოადგილე **გამყრელიძე**.

მოწესრიგების სამმართველოს უფროსის
მოადგილე **ნოვიკოვი**.

საქმეთა მმართველი **ეირანოვი**.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა-ს 883 №-ში 1925 წლის მაისის 24-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა.კ. ს. ფ. ს. რ-ს სახალხო კომისართა საბჭოსი.

431. „ადგილობრივი ფინანსების დროებითი დებულების“ დარღვევის აღმკვეთ ღონისძიებათა შესახებ.

თანახმად „ადგილობრივი ფინანსების დროებითი დებულებისა“—იმ შესწორებებითურთ, რაც დამტკიცებულია ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1924 წ. ოქტომბრის 29-ს—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. წინადადება მიეცეს ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს და ეკონომიურ საბჭოებს:

ა) მიიღონ გადამწყვეტი ღონისძიებანი, რათა დაუყოვნებლივ მოსპობილ იქნეს ადგილობრივ უკანონო გადასახადებისა და გამოსაღების გადახდევინება და აიძულონ ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტები—გადასახადებისა და გამოსაღების გადახდევინებისათვის იხელმძღვანელონ ხოლმე ადგილობრივი ფინანსების დროებითი დებულება—იმ შესწორებებითურთ, რაც დამტკიცებულია ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1924 წ. ოქტომბრის 29-ს.

ბ) წინადადება მისცენ აღმასრულებელ კომიტეტებს—დაუყოვნებლივ მოსპონ ადგილობრივ არსებული უკანონო გადასახადებისა და გამოსაღების გადახდევინება, რაც ადგილობრივი ფინანსების დროებითი დებულების მე-40 მუხ. ეწინააღმდეგება, აგრეთვე იმ გამოსაღების გადახდევინება, რაც დროებითი დებულებაში აღნიშნულ უკიდურეს განაკვეთებს აღემატება.

გ) წინადადება მისცენ აღმასრულებელ კომიტეტებს—ამიერიდან აღარ შეიღონ ხოლმე ისეთი გადასახადი და გამოსაღები, რაც ადგილობრივი ფინანსების დროებითი დებულებით არ არის გათვალისწინებული, ან რაც აღემატება იმავე დროებითი დებულებაში დადგენილ უკიდურეს განაკვეთებს, როგორიც არის: 1) უკანონო გადახდევინება ერთგზობითი გამოსაღებისა გლეხების მიერ ბაზარზე მორეკილ საქონელზე და ბაზარზევე მოზიდულ საკუთარი მეურნეობის სასურსათო პროდუქტებზე (ადგ. ფინ. დრ. დებ. 64 მუხ.) და 2) გამოსაღების უკანონო გადახდევინება მერქანზე ადგილობრივი ფინანსების დროებითი დებულების 53 მუხ. დადგენილ განაკვეთზე მეტი რაოდენობით.

დ) ვალდებულჰყონ აღმასრულებელი კომიტეტები—გამოჰფინონ ხოლმე თვალსაჩინო ადგილას, როგორიც არის: ბაზარი, მოედანი და გადასახადებისა და გამოსაღების თანხების მიღების ადგილები, ადგილობრივი ფინანსების დროებითი დებულებით დადგენილი ადგილობრივი გადასახადებისა და გამოსაღების განაკვეთების ნუსხა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) წინადადება მისცენ აღმასრულებელ კომიტეტებს—გამოსაღები საქონლისა და ცხოველთა უმი პროდუქტების სავეტერინარო-სანიტარული გასინჯვისათვის გადაახდევინონ ხოლმე იმ რაოდენობით, რაც არ უნდა აღემატებოდეს ადგილობრივი ფინანსების დროებითი დებულების 75 და 76 მუხლით დაწესებული საქონლისა და პროდუქტების ნორმალური შეფასების $^1/_4$ პროცენტს.

ნორმალურ შეფასებად ჩაითვალოს ცხოველთა უმი პროდუქტებისათვის—ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილი უკიდურესი ფასები, ხოლო საქონლისათვის—ის ფასები, რასაც დაადგენს ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1924 წ. მარტის 10-ს დადგენილების (კან. კრებ. მე-3 №-რი, მუხ. 57) საფუძველზე არსებული კომისია, რომლის შედგენილობაშიაც შევლენ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა და რესპუბლიკანური მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენელნი. საქონლის შეფასება უნდა სწარმოებდეს თვითეული ნახევარწლისათვის, რესპუბლიკის რაიონებად და ხოლებად.

ცხოველთა უმი პროდუქტების სავეტერინარო-სანიტარული გამოსაღების გადახდევინება უნდა მოხდეს მხოლოდ ერთხელ, გარდა იმ შემთხვევებისა, რაც გათვალისწინებულია ადგილობრივი ფინანსების დროებითი დებულების 79 მუხ. შენიშვნაში, ფინანსთა სახალხო კომისარიატი, ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან ერთად, ერთი კვირის ვადაზე განსაზღვრავს, რა მანძილი უნდა ჩაითვალოს შორეულ მანძილად.

2. ა) წინადადება მიეცეს რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს და ეკონომიურ საბჭოებს—მოსპონ, როგორც არა-სწორი, სამიკროსკოპო გამოსაღების გადახდევინება იმ ადგილებში, სადაც სამიკროსკოპო სადგურები არ არის.

წინადადება მიეცეს ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატს, ფინანსთა სახალხო კომისარიატს და მუშათა და გლეხთა ინსპექციას—დააწესონ უკიდურესი განაკვეთები მიკროსკოპიული გამოკვლევისათვის, საქონლის დაკვლისათვის და სასასწვრე გამოსაღებისათვის.

წინადადება მიეცეს რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს შემოიღონ საბაზრო გამოსაღების უკიდურესი ნიხრი ამ გამოსაღებით დასაბეგვრი ყოველგვარი ობიექტისათვის.

სრულიად განთავისუფლებულ იქნენ საბაზრო გამოსაღებისაგან ის გლეხნი, რომელნიც საქონელს თავისი ხელით მოიტანენ ან სატვირთე ცხოველით მოზიდავენ.

ბ) წინადადება მიეცეს ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატს, ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, გამოარკვიოს თვითღირებულება ნედლი სპირტის რექტიფიკაციისა მომქმედ ქარხნებში და, ამისდა მიხედვით, შეიმუშაოს თვითეულ საბიუჯეტო წლისათვის მტკიცე ფასი იმ ნედლი სპირტის რექტიფიკაციისა, რაც გლეხებს გადაეცემათ,—რაიონულად თვითეულ ქარხნისა ან ქარხნების ჯგუფისათვის.

გ) ცნობილ იქნეს, რომ აღმასრულებელ კომიტეტების მიერ პრაქტიკაში შემოღებული სისტემა საბაზრო მოედნებისა და ადგილობრივ გამოსაღებთა გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახდევინების კერძო პირებზედა ნარდათ მომუშავებზე იჯარით გაცემა—შეუძლებელია, ხოლო დადებული ხელშეკრულებანი უკანონოა. ადგილობრივ გამოსაღებთა გადახდევინება და საბაზრო მოედნების ექსპლოატაცია უნდა სწარმოებდეს მარტოოდენ იდგილობრივი ორგანოების მეშვეობით—დებულების მე-II თავის („ადგილობრივ შემოსავალთა შესახებ") საფუძვლებზე.

3. ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა უნდა დაარსონ სპეციალური კომისიები,—შინა ვაჭრობის სახალხო კოკომისარიატისა, ფინანსთა სახალხო კომისარიატსა, იუსტიციის სახალხო კომისარიატისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენელთაგან შემდგარნი,—აღმასრულებელი კომიტეტების მოქმედების გამოსაკვლევად ყოველგვარი გადასახადისა და გამოსაღების სისწორით გადახდევინების სფეროში.

დაევალოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატებს და ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთ—ყველა იმ შემთხვევის შესახებ, როცა გადახდევინებულ იქნება უკანონო გადასახადი ან გამოსაღები, დაუყოვნებლივ აცნობონ პროკურატურას დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად, და იმავე დროს ესევე აუწყონ ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

4. წინადადება მიეცეს იმავე რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—გამოსცენ იუსტიციის სახალხო კომისარიატების მეშვეობით განკარგულება, რათა სასამართლო დაწესებულებებმა საქმეები უკანონო გადასახადისა თუ გამოსაღების შესახებ განიხილონ ხოლმე საგანგებო სასწრაფო წესით.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ხანოიანი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მაგიერ **ნაზარეთიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ს. ჯუღელი**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 886 №-ში 1925 წ. აპრილის 28-ს.

№ 3. ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი ა/კ. ცენტ. აღმ. კომ. და ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს სახ. კომ. საბჭოს დადგენილებისა.

ნუსხა იმ ადგილობრივი გადასახადებისა და გამოსაღებისა—მათი უკიდურესი განაკვეთებითურთ, რომელიც შეუძლიანთ დააწესონ აღმასრულებელმა კომიტეტებმა სოფლის მოსახლეობისათვის, ყველა იმ შეღავათის შეფარდებით, რაც გათვალისწინებულია კანონით, „ადგილობრივი ფინანსების დროებითი დებულების“ თანახმად.

№№ რიგზე	ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღების სახელწოდება.	უმაღ. უკიდურესი განაკვეთი.			
		ქ.ქ. ტფილისი და ბაქო.—გარე უბნებითურთ.		დანარჩენი ადგილებისათვის	
		მან.	კაპ.	მან.	კაპ.
1.	**ერთგზობითი გამოსაღები.** (მუხ. 64, 65 და 66)				
	1. ფეხზე ვაჭრობისათვის თაბხით, კალათით, სხვა რაიმე ჭურჭლით ან ხელით	—	16	—	—
	ბათუმი, განჯა და ერევანი . . .	—	—	—	12
	ლენინაკანი, ქუთაისი, ფოთი, სოხუმი და მაზრები: ტფილისისა, ბაქოს, განჯისა და ერევნისა	—	—	—	8
	ყველა სხვა ქალაქი, მცირე ქალაქი, აგრეთვე დაბა, სლობოდკა და ქალაქის ხასიათის მქონე დასახლებული ადგილი	—	—	—	6
	ყველა დანარჩენი ადგილი . . .	—	—	—	4
	2. ზიდვით ვაჭრობისათვის (ურმით, საბარგო ეტლით და სხვ) —2% ამა თუ იმ ადგილის მეორე ხარისხის სავაჭრო საწარმოს ნახევარწლის პატენტისათვის დაწესებული ფასისა . . .	—	27	—	—
	ბათუმი, განჯა და ერევანი . .	—	—	—	20
	ლენინაკანი, ქუთაისი, ფოთი სოხუმი და მაზრები: ტფილისისა, ბაქოს, განჯისა და ერევნისა	—	—	—	13,5
	ყველა სხვ. ქალაქი, აგრეთვე დაბა, სლობოდკა და ქალაქის ხასიათის მქონე დასახლებული ადგილი . . .	—	—	—	10
	ყველა დანარჩენი ადგილი . . .	—	—	—	6½

ეროვნული ბიბლიოთეკა

№№ რიგზე	ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღების სახელწოდება	უმაღლესი უკიდურესი განაკვეთი
	ერთგზობითი გამოსაღებისაგან მოძრავი ვაჭრობისათვის ბაზარზე, მოედანზე და საამისოდ დანიშნულ სხვ. ადგილას სრულიად განთავისუფლდებიან ის გლეხნი, რომელნიც მოზიდავენ საკუთარი მეურნეობის შემდეგ სასურსათო საგნებს:	
	1) ზიდვით გაყიდვის დროს:	
	ჭვავს, ხორბალს, სიმინდს და სხვ. პურეულს მარცვლად და ფქვილად რაოდენობით არა უმეტეს ორის ურმისა, აგრეთვე მუხუდოს, ოსპს, ლობიოს, ცერცს—არა უმეტეს ერთი ურმისა.	
	დაღერღილ მარცვლეულს: ბურღულისას, ფეტვისას, ქერისას, შვრიისას, აგრეთვე ბრინჯს, ღომს—არა უმეტეს ერთი ურმისა.	
	გამომცხვარ პურს—არა უმეტეს ერთი ურმისა.	
	კარტოფილს—არა უმეტეს 2 ურმისა; ჭარხალს, სტაფილოს, კომბოსტოს, ხახვს და სხვ. ბოსტნეულს—არა უმეტეს 1 ურმისა.	
	ხორცეულს—არა უმეტეს ერთი მსხვლეფეხა და 3 წვრილფეხა საკლავისა.	
	2) ტარებით გაყიდვის დროს:	
	ამა დადგენილების 1-ლ მუხ. აღნიშნულ პროდუქტებს და აგრეთვე რძის პროდუქტებს, კვერცხს და მეფრინველეობისა, მებაღეობისა და მეფუტკრეობის პროდუქტებს.	
	შენიშვნა. ადგილობრივ აღმ. კომიტეტებს, ადგილობრივ პირობებისა და საგლეხო მეურ. წარმოების საშუალებათა მიხედვით, შეუძლიანთ ამა დად. გათვალისწინებული შეღავათები გაფართოონ, როგორც ნუსხის შესებით, ისე დაბეგვრისაგან განსთავისუფლებელი პროდუქტების უკიდურესი რაოდენობის გადიდებით.	

ეროვნული ბიბლიოთეკა

№№ რიგზე	ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღების სახელწოდება	უმაღლესი უკიდურესი განაკვეთი
II	**გამოსაღები საქონლისა და ცხოველთა უმი პროდუქტების სავეტერინარო-სანიტარული გასინჯისათვის** (მუხ. 75, 76, 77, 78, 79, 80, 81)	არა უმეტეს გასასინჯი საქონლისა და ცხოველთა უმი პროდუქტების ნორმალური შეფასების $^1/_4$ %-სა. მაგალითი I: უკეთუ ძროხა 60 მან. ჭირს, გამოსაღები შეადგენს 15 კაპ. მაგალითი II: უკეთუ ცხვარი 12 მან. ჭირს, გამოსაღები შეადგენს 3 კაპ. მაგალითი III: უკეთუ ფუთი მატყლი 8 მან. ჭირს, გამოსაღები შეადგენს 2 კაპ.
III.	**დანარიცხი სამორე ფასისა სატყეო-საკულტურო ფონდისათვის.**	გადაახდევინებენ რესპუბ. მიწათმოქ. სახ. კომისარიატები სატყეო კოდ. საფუძველზე არა უმეტეს: სამორე ფაის 10%-სა—ფოთლიან ტყეში და 15%-სა—წიწვიან ტყეში.
	სასყიდელი ზოგიერთი მომსახურეობისათვის და იჯარა ალმასრულებელ კომიტეტების კუთვნილი მიწებისა.	
IV	**გამოსაღები სამიკროსკოპო გასინჯისათვის** (ამა დადგენილების მე-2 მუხ. „ა“ პუნქ.)	ბაზარში გამოკიდული ნიხრით.
V	**საბაზრო გამოსაღები** (მე-2 მუხ. „ა“ პუნ.)	
VI	**საქონლის დაკვლისათვის** (მე-2 მუხ. „ა“ პუნქ.)	
VII	**სასასწვრე გამოსაღები** (მე-2 მუხ. „ა“ პუნქ.)	

ეროვნული ბიბლიოთეკა

№№ რიგზე	ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღების სახელწოდება	უმაღლესი უკიდურესი განაკვეთი
VIII	**მერქანისათვის** (მუხ. 52, 53, 54 და 55)	დამზადებული მერქანის ღირებულების ზედნართი რაოდენობით: ა) 2% სახ. და კოოპერატიულ დაწესებულებათა და საწარმოთათვის. ბ) 5% ყველა დანარჩენი მომხმარებელისათვის. მაგალითი I: უკეთუ ერთი კუბი შეშის სამორე ფასი 6 მან., გამოსაღები შეადგენს 30 კაპ. მაგალითი II: უკეთუ 100 კუბ. ფუტი სააღმშენებლო მასალის სამორე ფასი 8 მან., გამსაღ. შეადგენს 40 კაპ.
IX	**გადასახადი რკინის გზით და წყალსავალი გზით შემოტანილი და გატანილი ტვირთისათვის.** (მუხ. 69, 70, 71, 72, 73, 74)	გადახდევინებულ უნდა იქნეს სადგურებზე და ნავთ-სადგურ.—კანონით გათვალისწინებული და რკ. გზ. ადმინისტ. მიერ სათანადო ადგილას გამოკ. განაკვეთით.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომ. თავმჯდომარე **ს. ხანოიანი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდ. მაგიერ **ნაზარეთიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ს. ჯუღელი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 886 №-ში 1925 წლის მაისის 28 ს.

დადგენილება № 25 ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

432. ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ-სა და მასში შემავალი რესპუბლიკების დაწესებულებათა გამგებლობაში ბიუჯეტის გარეშე ქონებულ სახსართა და კაპიტალთა აღნუსხვის. შესახებ.

სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ სახელმწიფო დაწესებულებათა და სახელმწიფო საწარმოთა გამგებლობაში ბიუჯეტის გარეშე ქონებულ სახსართა სწორი აღნუსხვისათვის—ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მიენდოს ა/კ. ს. ფ. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარიატს, ა/კ. ს. ფ. ს. რ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან ერთად და დაინტერესებულ უწყებათა მონაწილეობით, მოახდინოს ა/კ. ფ. ს. რ-სა და ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი რესპუბლიკების ყველა სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულების გამგებლობაში ბიუჯეტის გარეშე ქონებული ყოველგვარი სახსარისა და კაპიტალის აღნუსხვა, როგორც საქციო საზოგადოებაში, ამხანაგობაში, სინდიკატში და სხვ. საწარმოში მოთავსებულისა, აგრეთვე ისეთისა, რაც გამოიყენება სხვა უფლებრივ პრინციპზე.

2. 1-ლ მუხ. აღნიშნულ ბიუჯეტის გარეშე ქონებულ სახსართა და კაპიტალთა აღნუსხვა დამთავრებულ იქნეს ოთხი თვის ვადაზე.

3. მიენდოს ა/კ. ს. ფ. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარიატს და ა/კ. ს. ფ. ს. რ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს--აღნუსხვის დამთავრებისას წარმოუდგინონ ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს მოხსენება: ა) ხელთქონებული სახსარისა და კაპიტალების მდგომარეობის შესახებ და იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილად გამოიყენება ეს სახსარი და კაპიტალები; ბ) იმ ღონისძიებათა შესახებ, რაც საჭიროა ამ სახსარისა და კაპიტალების გამოყენების წესის გაუმჯობესებისათვის და გ) ამ სახსარისა და კაპიტალების დაწესებულებათა შორის ხელახალი განაწილების მიზანშეწონილობის შესახებ.

4. მიენდოს ა/კ. ს. ფ. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარიატს, ა/კ. ს. ფ. ს. რ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, გამოსცეს საჭირო წესები და ინსტრუქციები ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა
საბჭ. საქმეთა მმართველის თანამდებ. დრ. აღმსრ. **ნ. სოკოლსკი.**

ტფილისი—სასახლე. 1925 წლის მაისის 21-ს.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 887 №-ში 1925 წ. მაისის 29-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 24 ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

433. დებულება ადგილობრივ საბჭოთა ქონების შესახებ.

ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1923 წ. ნოემბრის 12-ს დამტკიცებული „ადგილობრივ საბჭოთა ქონების დებულების" მე-10 მუხ. თანახმად ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I. ადგილობრივი ქონებისა და სახსარის გამგებლობა თვითეული ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური ერთეულის ფარგლებში ეკუთნის სათანადო სამაზრო და საუბნო საბჭოთა ყრილობას, ხოლო ქალაქად—საქალაქო საბჭოს.

შენიშვნა. სამაზრო და საუბნო საბჭოთა ყრილობას და საქალაქო საბჭოს ქვემო მუხლებში ეწოდებათ ადგილობრივი საბჭოები.

II. ადგილობრივ ქონებას შეადგენს:

ა) ის სახელმწიფო ქონება, რაც ადგილობრივი საბჭოს ტერიტორიაზეა, უკეთუ ეს ქონება ს. ს. რ. კავშირისა, ა/კ. ს. ფ. ს. რ-სა და ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური ორგანოების გამგებლობაში არ არის და შეტანილი როდია საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საწარმოთა შედგენილებაში;

ბ) ის მიწა, რაც გადაეცა საქალაქო საბჭოს და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს, აგრეთვე რაც, განსაკუთრებული საკანონმდებლო დადგენილების თანახმად, გადავა ადგილობრივი ორგანოს გამგებლობაში;

გ) ყოველგვარი სხვა ქონება, რაც გადაცემული აქვს ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოს, ან რაც მის მიერ შეძენილია.

III. ადგილოკრივ ქონების განაწილებას მაზრასა და უბანს შორის მოახდენს მაზრის საბჭოთა ყრილობა.

შენიშვნა. ადგილობრივი საბჭოს დადგენილება ქონების განაწილების შესახებ შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს უმაღლეს ინსტანციაში საერთო წესისამებრ.

IV. ადგილობრივი ქონების განაწილება სწარმოებს შემდეგი ნიშნების მიხედვით: 1) უწყებული ქონების ადგილმდებარეობა; 2) რაიონი, რომელსაც იგი მომსახურეობას უწევს; 3) უაღრესი მეურნეობრივი და მიზანშეწონილი საშუალება მისი ადმინისტრატიულად მოწყობისა და გამოყენებისა.

V. წინა მუხლებში აღნიშნული წესით ადგილობრივი საბჭოს გამგებლობაში გადასული ქონება შეიტანება ადგილობრივი საბჭოს ქონებათა საინვენტარო დავთარში, რომელსაც აწარმოებს სამაზრო საფინანსო განყოფილება.

VI. წინა მუხლებში აღნიშნული წესით ადგილობრივ ორგანოს გამგებლობაში გადასული ქონების ჩამორთმევა შეიძლება მოხდეს მარტოოდენ ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა, ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა და ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმების დადგენილებით—კუთვნილებისამებრ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VII. ადგილობრივ საბჭოს ნება აქვს აწარმოოს მის გამგებლობაში გადაცემული საწარმოს, მიწისა, მეურნეობისა, ქონებისა და სახელმწიფო საიჯარო მიწის ექსპლოატაცია, როგორც ფინანსიური მოგვარებით საბიუჯეტო წესისამებრ, ისე სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანით და აგრეთვე კონცესიად ან იჯარად გაცემით.

შენიშვნა, ადგილობრივი ქონების კონცესიად ან იჯარად გაცემის წესი განისაზღვრება განსაკუთრებული კანონდებულებით.

VIII. ყველა შემოსავალი, რასაც ადგილობრივი საბჭო მიიღებს მის გამგებლობაში ვადაცემული საწარმოს, მეურნეობისა, მიწისა, ქონებისა და სახელმწიფო საიჯარო მიწის ექსპლოატაციით, მთლად გატარებულ იქნება სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის ბიუჯეტში და დარჩება მისვე განკარგულებაში, გარდა განსაკუთრებული კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა.

IX ამა დებულების თანახმად და ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის კოდექსების საფუძველზე ადგილობრივ საბჭოს უფლება აქვს აიღოს სესხი სპეციალურად საამისოდ გამოცემული დებულების ფარგლებში და, აღმასრულებელი კომიტეტის სათანადო განყოფილების მეშვეობით, შეკიდეს მეპაიეთ სააქციო საზოგადოებაში და სხვა სამეურნეო ორგანიზაციაში, მიიღოს ხელშეკრულობის წესით ვალდებულება, ისარჩელოს და პასუხი აგოს სამეურნეო საქმეების გამო იმ წესების აღსრულებით, რაც დადგენილია სახელმწიფო ორგანოებისთვის.

X. ადგლობრივი საბჭოს გამგებლობაში ქონებული შენობა, რომელიც ისეა დაძველებული, რომ მისი აღდგენა შეუძლებელია, აგრეთვე საწარმოს გაწყობილების საგნები და ინვენტარი, როდესაც სრულიად შეუძლებელია მისი მიზანშეწონილად გამოყენება,—შეიძლება გასხვისებულ იქნეს მომქმედი კანონდებულებით განსაზღვრულ წესსა და საფუძველზე.

XI. წინა მუხლში აღნიშნული ქონების გაყიდვით მიღებული თანხა ჩაირიცხება ადგილობრივ სახსარში სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის შემოსავლის ხარჯთაღრიცხვით, გარდა იმ შემთხვევისა, რაც კანონით ცალკეა გათვალისწინებული; ქონების გასხვისებასთან დაკავშირებული ყველა ოპერაცია უნდა აღინიშნოს საინვენტარო დავთარში.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახ.
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ნ. სოკოლსკი.**

ტფილისი—სასახლე. 1925 წ. აპრილის 30.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 887 №-ში 1925 წლის მაისის 29-ს.

№ ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 44 ამიერკავკასის სოც. ფედ. საბ. რესპუბლიკის შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატისა.

434. სახელმწიფო სავაჭრო საწარმოთა და მათ შენაერთთა მიერ ცნობებისა და დოკუმენტების წარდგენის ვადის შესახებ.

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ერთიანი სავაჭრო რეესტრის შესახებ 1925 წლის აპრილის 2-ს თარიღითა და 16 №-ით გამოცემული დადგენილების (გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 856 №-ში 1925 წლის აპრილის 22-ს) მე-7 მუხლის თანახმად—შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. დაეევალოს: ა) ა/კ. ს. ფ. ს. რ-ის სახალხო კომისარიატების უშუალო გამგებლობაში არსებულ სახელმწიფო სავაჭრო საწარმოთ და მათ შენაერთს, ბანკს, საკრედიტო დაწესებულებას და კოოპერატიულ კავშირს, რომლის მოქმედების რაიონიც ა/კ. ს. ფ. ს. რ-ის ტერიტორიაა, სააქციო საზოგადოებას (საპაიო ამხანაგობას) და შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობას, უკეთუ მათი დებულება და წესდება დამტკიცებულია ა/კ. ს. ფ. ს. რ-ის საკანონმდებლო ორგანოების მიერ, ბ) სახელმწიფო სავაჭრო და მათი შენაერთის განყოფილებასა და წარმომადგენლობას, ს. ს. რესპუბლიკების კავშირის ან ა/კ. ს. ფ. ს. რ-ის შედგენილობის გარეშე მყოფი რესპუბლიკის ბანკს, საკრედიტო დაწესებულებას, შერეულ საზოგადოებას და სხვ., და გ) უცხოეთის წარმომადგენლობას, რომელსაც აქვს ნებართვა ს. ს. რესპუბლიკების კავშირის ტერიტორიაზე სავაჭრო ოპერაციების წარმოებისა,—წარუდგინონ ა/კ. ს. ფ. ს. რ-ის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატს, ორი კვირის განმავლობაში ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან, ცნობები, თანახმად ამა დადგენილების მე-3 და მე-4 მუხლისა, სავაჭრო რეესტრში შესატანად, და აგრეთვე დოკუმენტები (დებულება, წესდება, სარეწავი მოწმობა და სხვ.), რაზედაც დამყარებულია წარდგენილი ცნობები.

2. დაეევალოს ა/კ. ს. ფ. ს. რ-ის შედგენილობაში შემავალი ამა თუ იმ რესპუბლიკისა და აგრეთვე ავტონომიური და მოკავშირე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოებისა და სახალხო კომისარიატების უშუალო გამგებლობაში არსებულ სახელმწიფო სავაჭრო საწარმოთ და მათ შენაერთს, ბანკს, საკრედიტო დაწესებულებას და კოოპერატიულ კავშირს, რომლის მოქმედების რაიონიც ამა თუ იმ რესპუბლიკის ტერიტორიაა, სააქციო საზოგადოებას (საპაიო ამხანაგობას) და შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობას, უკეთუ მათი დებულება და წესდება დამტკიცებულია რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოების მიერ—წარუდგინონ შინ-ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს (სათანადო რესპუბლიკაში), ორი კვირის განმავლობაში ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან, ცნობები, თანახმად ამა დადგენილების მე-3 მუხლისა, სავაჭრო რეესტრში შესატანად, და აგრეთვე დოკუმენტები (დებულება, წესდება, სარეწავი მოწმობა და სხვ.), რაზედაც ეს ცნობები დამყარებულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ამა დედგენილების 1-ლ და მ-2 მუხლში აღნიშნულ საწარმოთა შესახებ სავაჭრო რეესტრში შეტანილ უნდა იქნეს შემდეგი ცნობები:

ა) საწარმოს (ფირმის) სახელწოდება და სახე;

ბ) დრო წესდების და დებულების დამტკიცებისა ან ამხანაგობის ხელშეკრულების ქმნისა;

გ) სამყოფელი ადგილი საწარმოსი, მისი ცალკე დაწესებულებისა, კონტორისა და სხვ.;

დ) მიზანი და ოპერაციები: საწარმოსი;

ე) რაიონი საწარმოს მოქმედებისა;

ვ) ძირითადი, საბრუნავი და სხვა კაპიტალი;

ზ) ფაქტიურად შეკრეფილი ნაწილი ძირითადი კაპიტალისა;

თ) ფაქტიური დამოკიდებულება კერძო კაპიტალსა და სახელმწიფო-კოოპერატიულ კაპიტალს შორის;

ი) გამგეობის სამყოფელი ადგილი და მისი შედგენილობა (გამგეობის ყველა წევრის და გამგე-დირექტორის ან მმართველის გვარი, სახელი და მამის სახელი);

კ) სარეწავი მოწმობის კატეგორია და ნომერი;

ლ) საწარმოს არსებობის ვადა, უკეთუ იგი განსაზღვრულია.

4. უცხოეთის საწარმოთა შესახებ სავაჭრო რეესტრში, ზემოაღნიშნულის გარდა, შეტანილ უნდა იქნეს შემდეგი ცნობები:

ა) საწარმოს დაარსების დრო და ადგილი საზღვარგარეთ;

ბ) მთავრობის ორგანოს დადგენილება ა/კ. ს. ფ. ს. რ-ის ტერიტორიაზე ოპერაციების წარმოების უფლების მიცემის შესახებ;

გ) რა ვადით მიეცა ოპერაციების წარმოების უფლება;

დ) მიზანი და ოპერაციები საწარმოსი;

ე) კაპიტალის რაოდენობა;

ვ) პასუხისმგებელი წარმომადგენლობის ან საagენტოს სამყოფელი ადგილი;

ზ) პასუხისმგებელი წარმომადგენლის ან აგენტის გვარი, სახელი და ქვეშევრდომობა;

თ) საწარმოს მოქმედების მოსპობა ა/კ. ს. ფ. ს რესპუბლიკაში.

5. ამა დადგენილების 1-ლ და მე-2 მუხლში აღნიშნულ საწარმოთა ხელმძღვანელნი, რომელნიც დაწესებულ ვადაზე არ წარადგენენ სავაჭრო რეესტრში შესატან ცნობებს ან წარადგენენ არა-სწორ ცნობებს,—პასუხს აგებენ სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად.

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შინა-ვაჭრობის
სახალხო კომისრის მოადგილე **ვამყრელიძე.**

საქმეთა მმართველი **ეირანოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 889 №-ში 1925 წლის მაისის 31-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

435. ა/კ. ს. ფ. ს. რ-სა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებათა შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დებულება ა/კ. ს. ფ. ს. რ-სა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებათა შესახებ.

1. ზოგადი დებულებანი.

1. ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს ერთიან სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენილობაში შედის: სახელმწიფო ფედერატიული ბიუჯეტი (ფედერატიული შემოსავალ-გასავლის საერთო აღრიცხვა და აზერბაიჯანისა, სომხეთისა და საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტები (თვითეული რესპუბლიკის შემოსავალ-გასავლის საერთო აღრიცხვა).

2. აზერბაიჯანისა, სომხეთისა და საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების ბიუჯეტებს, ამა რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების მიერ განხილვისა და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების მიერ დამტკიცების შემდეგ, და ა/კ. ს. ფ. ს. რ. ფედერატიულ ბიუჯეტს განიხილავს ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო, გაერთიანებს იგი ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტად, რომელიც შეიცავს ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს ყველა შემოსავალ-გასავლის საბალანსო კრებულს, და წარუდგენს დასამტკიცებლად ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი დაამტკიცებს ერთიანი საკანონმდებლო აქტით ფედერატიულ ბიუჯეტსა და აზერბაიჯანისა, სომხეთისა და საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების ბუუჯეტებს. ამიერკავკასიის ცანტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დამტკიცებულ ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს ერთიან სახელმწიფო ბიუჯეტს ა/კ ს. ფ. ს. რ-ს სახალხო კომისართა საბჭო შეიტანს ს. ს. რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭოში განსახილველად და, არსებული წესისამებრ, ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისათვის წარსადგენად საბოლოო დამტკიცებისათვის.

3. ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება განხორციელდება ს. ს. რ. კავშირის კასის ერთიანობის საფუძველზე, ხოლო საბუხჰალტერო ანგარიშების გათავთავადებით საერთო-საკავშირო შემოსავალ-გასავლის საერთო აღრიცხვისა და ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს საერთო აღრიცხვების მიხედვით; ეს უკანასკნელი საერთო აღრიცხვები, თავისი მხრით, შესრულებულ იქნება საბუხჰალტერო ანგარიშების გათავთავადებით ფედერატიული საერთო აღრიცვისა და აზერბაიჯანისა, სომხეთისა და საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების საერთო აღრიცხვების მიხედვით. ს. ს. რ-ს კავშირის ფინანსთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისარიატის სალაროს ხელთქონებულება მთლად ერთიანია და წარმოადგენს ყველა სახელმწიფო ხარჯების დამფარავ წყაროს, როგორც საერთო საკავშირო ბიუჯეტით, ისე ა/კ. ს. ფ. ს. რ-სა და მასში შემავალი რესპუბლიკების ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტით.

II. ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს საბიუჯეტო უფლებანი.

ა. ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს უფლებანი საბიუჯეტო კანონმდებლობის სფეროში.

4. საერთო კანონდებულებათ საერთო საკავშირო საბიუჯეტო კანონმდებლობის ფარგლებში, რომლითაც მოწესრიგდება ა/კ. ს. ფ. ს. რ. ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენა, განხილვა, დამტკიცება და შესრულება, დაამტკიცებს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეი — ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს სახალხო კომისართა საბჭოს წარდგენით.

ბ. სახელმწიფო შემოსავალი და გასავალი, რაც გატარებულ უნდა იქნეს ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს ფედერატიულ ბიუჯეტში.

5. ა/კ. ს. ფ. ს. რ. ფედერატიული ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში შედის:

ა) სახელმწიფო არა-საგადასახადო შემოსავალი, რაც აღრიცხულ იქნება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს სახალხო კომისართა საბჭოს, ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს საგეგმო კომისიისა და ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში გაერთიანებულ უწყებათა: ფინანსთა სახალხო კომისარიატისა, შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისა, შრომის სახალხო კომისარიატისა, ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამართველოს და ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს საფინანსო ხარჯთაღრიცხვებით;

ბ) იმ პირდაპირი გადასახადებისა, გამოსაღებისა და ბაჟის ან მათი ზედნართების ყველა ანარიცხების შემოსავალი, რაც ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებებით მითვლილია ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს ბიუჯეტზე, იმ ანარიცხთა და ზედნართა გამოკლებით, რაც ცალკე იქნება დადგენილი და რაც შემოვა აზერბაიჯანისა, სომხეთისა და საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების ბიუჯეტთა შესაქმნელად; აგრეთვე იმ გადასახადთა, გამოსაღებთა და ბაჟთა გამოკლებით, რაც ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით მითვლილია აზერბაიჯანისა, სომხეთისა და საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების ბიუჯეტებზე;

გ) შემოსავალი ფედერატიული მნიშვნელობის სახელმწიფო სავაჭრო, სამრეწველო და სხვ. საწარმოთა და საკრედიტო დაწესებულებათა;

დ) საგანგებო შემოსავალი: ფედერატიული სახელმწიფო ფონდების რეალიზაციისა, ფედერატიული მნიშვნელობის კონცესიებისა, იმ სათესლე, სასურსათო და სხვ. სესხის დაბრუნებით, რაც გაცემულ იქნა ფედერატიული ბიუჯეტის საგანგებო კრედიტებიდან, ს. ს. რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ნებადართული ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახელმწიფო სესხის რეალიზაციისა, ს. ს. რ. კავშირის სესხთა ანარიცხისა და საერთო-საკავშირო სახსარიდან დანიშნული

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოტაციისა იმ დეფიციტის დასაფარავად, რომელიც ს. ს. რ. კავშირმა უნდა დაჰფაროს იმ შემთხვევაში, უკეთუ ამ დეფიციტის აცილება ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს სახსარით შეუძლებელ იქნენება.

6. ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს ფედერატიული ბიუჯეტის საგასაცალო ნაწილში შედის:

ა) ყველა სახელმწიფო ხარჯი, რაც აღრიცხულია წინა (ბ) მუხლის „ა“ პუნქტში ჩამოთვლილ უწყებათა და დაწესებულებათა საფინანსო ხარჯთაღრიცხვებში;

ბ) საერთო-ფედერატიული სარეზერვო ფონდები;

გ) საგანგებო ხარჯები: მრეწველობისა, სასოფლო მეურნეობისა და კოოპერაციის ფინანსიურად მოგვარებისათვის, ელექტროფიკაციისა და სხვა ხარჯები, რაც უწყებათა და დაწესებულებათა ცალკე ხარჯთაღრიცხვების შედგენილობაში არ შედის, და რაც ს. ს. რ. კავშირის საკანონმდებლო დაწესებულებათა მიერ ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს ბიუჯეტს გადაეცემა;

დ) ის თანხები, რაც საჭიროა ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი ამა თუ იმ რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვისათვის იმ შემთხვევაში, უკეთუ ამ დეფიციტის აცილება თვით რესპუბლიკის სახსარით შეუძლებელი იქნება.

7. უკეთუ სახელმწიფო შემოსავალთა ფედერატიული საერთო აღრიცხვის შესრულებისას მიღებული ფედერატიული არა-საგადასახადო შემოსავალი გადაჭარბებს იმას, რაც ხარჯთაღრიცხვებით იყო ნავარაუდევი, ეს გადანაჭარბი გადაიცემა ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს სახალხო კომისართა საბჭოს სარეზერვო ფონდის გასაძლიერებლად.

ხოლო გადანამეტი იმ საერთო-საკავშირო გადასახადებისა და არა-საგადასახადო შემოსავლისა, რომელთა ანარიცხი ან ზედნართი მოთავსებულია ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს ფედერატიულ ბიუჯეტში, მიიქცევა პირველ რიგში ფედერატიული ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად, უკეთუ ეს დეფიციტი იქნება, და, მხოლოდ დეფიციტის სრულად დაფარვის შემდეგ, ნაშთი ჩაიწერება მომავალი წლის ფედერატიული ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში.

შენიშვნა 1. საერთო საკავშირო გადასახადებისა და არა-საგადასახადო შემოსავლის გადანამეტად იგულისხმება—ფედერატიული ბიუჯეტით ფაქტიურად მიღებული შემოსავლის გადაჭარბება დაწესებული კონტინგენტებისა. საერთო-საკავშირო გადასახადებისა და არა-საგადასახადო შემოსავლის გადანამეტების განაწილება მოხდება იმავე პროცენტული შეფარდებით, როგორითაც ს. ს. რ. კავშირის ცენ. აღმ. კ-ტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დაწესებულია ანარიცხები ან ზედნართები ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს ბიუჯეტესათვის.

შენიშვნა 2. ანგარიშის გასწორება ამა მუხლში აღნიშნული გადანამეტების სფეროში მოწესრიგდება ს. ს. რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტიცებული სპეციალური წესებით.

გ. წესი ფედერატიული შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვებისა და საერთო აღრიცხვების განხილვისა და დამტკიცებისა და ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს ორგანოების მონაწილეობა ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტების განხილვაში.

8. ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს სახალხო კომისართა საბჭო განიხილავს ფედერატიულ ბიუჯეტს ა/კ. ს. ფ. რ-ში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტებთან ერთად, ფინანსთა სახალხო კომისარიატის მოხსენებით, ხოლო წინასწარ მოითხოვს ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს საგეგმო კომისიის დასკვნას.

9. ყველა ხარჯთაღრიცხვის განსახილველად და იმ სახარჯთაღრიცხვო დანიშნულებათა ციფრების გამოსარკვევად, რაც ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის საერთო აღრიცხვის პროექტში უნდა იქნეს შეტანილი (ფედერატიული და რესპუბლიკანური ბიუჯეტები), ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს ფინანსთა სახალხო კომისარიატთან მოეწყობა სახარჯთაღრიცხვო-სამეურნეო თათბირი; თათბირი შესდგება თავმჯდომარისაგან, რომელსაც დანიშნავს ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს ფინანსთა სახალხო კომისარი, და ფინანსთა სახალხო კომისარიატისა, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისა და ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს საგეგმო კომისიის წარმომადგენელთაგან, აგრეთვე იმ რესპუბლიკის უწყებისა ან სახალხო კომისართა საბჭოს წარმომადგენლისაგან, რომლის ხარჯთაღრიცხვა თუ ბიუჯეტი უნდა იქნეს განხილული, და შრომის სახალხო კომისარიატის წარმომადგენლისაგან (სამუშაო ხელფასის საკითხებისათვის).

10. ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის (ფედერატიული და რესპუბლიკანური ბიუჯეტები) შესახებ ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს საგეგმო კომისია შეატყობინებს ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს სახალხო კომისართა საბჭოს—და ამასთან ერთად ა/კ. ს. ფ. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარიატს—თავის დასკვნას იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად შეეფერება აღნიშნული ბიუჯეტი სახელმწიფო და სახალხო მეურნეობის საერთო გეგმას და აგრეთვე—რამდენად შეიძლება მისი რეალური აღსრულება. ამ დასკვნას საგეგმო კომისია აცნობებს ორი კვირის ვადაზე დღიდან ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ მისთვის ბიუჯეტის პროექტის წარდგენისა.

11. ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო, განიხილავს რა ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს ერთიან სახელმწიფო ბიუჯეტს, შეიტანს მის მიერ დადასტურებულ ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში დასამტკიცებლად.

12. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი დაამტკიცებს ერთიან სახელმწიფო ბიუჯეტს სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის საერთო აღრიცხვის პარაგრაფების მიხედვით.

13. უკეთუ ა/კ. ს. ფ. ს. რ ს სახალხო კომისარითა საბჭო, ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი ამა თუ იმ რესპუბლიკის სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის საერთო აღრიცხვის განხილვის დროს, საჭიროდ სცნობს შესცვალოს რესპუბლიკის მიერ ნავარაუდევი თანხა, როგორც შემოსავლისა, ისე გასავლისა, ამ რესპუბლიკის საერთო აღრიცხვა დაებრუნება ამ რესპუბლიკისავე სახალხო კომისართა საბჭოს ხელ-ახალი განხილვისათვის ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს სახალხო კომისართა საბჭოს შენიშვნათა მიხედვით; ეს განხილვა უნდა მოხდეს ორი კვირის ვადაზე.

14. უკეთუ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დამტკიცებული ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტი, ს. ს. რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტე-

ტის მიერ განხილვისა და საბოლოო დამტკიცების დროს, განიცდის ამა თუ იმ ცვლილებას და ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს სახალხო კომისართა საბჭო საჭიროდ სცნობს შესცვალოს რესპუბლიკების ბიუჯეტები იმ ცვლილებათა მიხედვით, რაც ს. ს. რ. კავშირის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მოახდინა ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს ბიუჯეტში,—სათანადო რესპუბლიკების შემოსავალ-გასავლის საერთო აღრიცხვა დაებრუნება იმავე რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს ხელახალი განხილვისათვის ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს სახალხო კომისართა საბჭოს შენიშვნების მიხედვით.

სათანადო რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები, განიხილავენ რა შვიდი დღის ვადაზე დაბრუნებულ საერთო აღრიცხვებს, შეიტანენ მათ ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს სახალხო კომისართა საბჭოში. ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნულ საერთო აღრიცხვათა შესვლისათანავე განიხილავს მათ და მიიღებს ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს ერთიან სახელმწიფო ბიუჯეტს საბოლოო სახით.

III. ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებანი

ა. ზოგადი დებულებანი.

15. ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში—შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებსა და სახალხო კომისართა საბჭოებს ეკუთვნით უფლება უწყებული რესპუბლიკის ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცებისა, ამერიკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (რესპუბლიკაში) წარდგენით.

16. გადასახადები და არა-საგადასახადო შემოსავალი, საგანგებო რესურსები, აგრეთვე საგადასახადო და არა-საგადასახადო შემოსავლის ანარიცხები და ზედნართები გადაეცემა ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალ რესპუბლიკებს იმ რაოდენობით, რასაც შეუძლიან უზრუნველჰყოს რესპუბლიკანური ბიუჯეტების დამოუკიდებელი დაბალანსება იმ ფარგლებში, რის შესაძლებლობასაც ჰქმნის ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტი.

უკეთუ შეუძლებელი იქნება რესპუბლიკანური ბიუჯეტების ასეთი დაბალანსება,—მათი დეფიციტები დაიფარება ფედერატიული რესურსებიდან ა/კ. ს. ფ. ს. რ. ერთიან სახელმწიფო ბიუჯეტში დადგენილი რაოდენობით.

17. უკეთუ ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტების შესრულებისას მიღებული რესპუბლიკანური არა-საგადასახადო შემოსავალი გადააჭარბებს იმას, რაც ხარჯთაღრიცხვებით იყო ნავარაუდევი, ეს გადანაჭარბი — გადაიცემა უწყებული რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს სარეზერვო ფონდის გასაძლიერებლად.

ხოლო გადანამეტი იმ საერთო-საკავშირო ან ფედერატიული გადასახადებისა და არა-საგადასახადო შემოსავლისა, რომელთა ანარიცხი ან ზედნართი მოთავსებულ უნდა იქნეს ცალკე რესპუბლიკების ბიუჯეტებში, მიიქცევა პირველ რიგში უწყებულ რესპუბლიკების ბიუჯეტების დეფიციტის დასაფარავად, უკეთუ ეს დეფიციტი იქნება, და, მხოლოდ დეფიციტის სრულად დაფარვის შემდეგ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაშთი ჩაიწერება ამ რესპუბლიკების მომავალი წლის ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილში მათი დაბალანსებისათვის.

შენიშვნა 1. საერთო-საკავშირო და ფედერატიული გადასახადებისა და არა-საგადასახადო შემოსავლის გადანამეტად იგულისხმება სახელმწიფო ბიუჯეტით ფაქტიურად მიღებული შემოსავლის გადაჭარბება ამა თუ იმ რესპუბლიკისათვის დაწესებული კონტინგენტებისა. გადანამეტების განაწილება ა/კ. ს. ფ. ს. რ-სა და რესპუბლიკებ შორის მოხდება იმავე პროცენტული შეფარდებით, როგორითაც ცალკე რესპუბლიკის ბიუჯეტში დაწესებულია ანარიცხი ან ზედნართი.

შენიშვნა 2. ანგარიშის გასწორება ამა მუხლში აღნიშნული გადანამეტების სფეროში მოწესრიგდება ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული სპეციალური წესებით

18. უკეთუ ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი რესპუბლიკების შემოსავალი ნაკლები იქნება, ვიდრე ხარჯთაღრიცხვებით იყო ნავარაუდევი, მომხდარი დეფიციტი უნდა დაბალანსებულ იქნეს ხარჯების სათანადო შემცირებით.

19. უკეთუ საბიუჯეტო პერიოდის განმავლობაში სამოქმედოდ შემოღებულ იქნება ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს უმაღლესი ორგანოების ისეთი დადგენილება, რომლითაც შემცირდება ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი რესპუბლიკებისათვის გადაცემული ესა თუ ის შემოსავალი, ან გადიდდება ამ რესპუბლიკებისათვის დაკისრელი ესა თუ ის ხარჯი,—ასეთ დადგენილებას უნდა თანაუძღოდეს უზრუნველ საყოფი დამატებითი საშემოსავლო წყარო, რომელიც დაჰფარავს უწყებულ-რესპუბლიკის სათანადო დეფიციტს.

ბ. სახელმწიფო შემოსავალ-გასავალი, რაც გატარებულ უნდა იქნეს ა./კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტებში.

20. აზერბაიჯანისა, სომხეთისა და საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილში შედის:

ა) სახელმწიფო შემოსავალი, რაც აღრიცხულია ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, სახალხო კომისართა საბჭოებისა და საგეგმო კომისიებისა, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს და აგრეთვე ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტებზე მითვლილ არა-გაერთიანებულ უწყებათა: შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა, იუსტიციის სახალხო კომისარიატისა, განათლების სახალხო კომისარიატისა, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა, სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატისა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატ-ს საფინანსო ხარჯთაღრიცხვებით;

ბ) პირდაპირი გადასახადისა და ბაჟის შემოსავალი, რაც დაწესებულია უწყებული რესპუბლიკისათვის;

გ) ფედერატიული გადასახადებისა, ბაჟისა და არა-საგადასახადო შემოსავლის ანარიცხი და ზედნართები, რასაც ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი დაწესებს არა ნაკლებ, ვიდრე ერთი საბიუჯეტო წლისათვის;

დ) რესპუბლიკანური მნიშვნელობის სახელმწიფო სავაჭრო, სამრეწველო და სხვა საწარმოთა და აგრეთვე საკრედიტო დაწესებულებათა შემოსავალი;

ე) საგანგებო შემოსავალი: ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი რესპუბლიკების სახელმწიფო ფონდების რეალიზაციისა, რესპუბლიკანური მნიშვნელობის კონცესიებისა, იმ სათესლე, სასურსათო და სხვა სესხის დაბრუნებით, რაც გაცემულ იქნა ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალ რესპუბლიკების ბიუჯეტების საგანგებო კრედიტებიდან, უწყებული რესპუბლიკისათვის ნებადართული სახელმწიფო სესხისა და ფედერატიული და საერთო საკავშირო სახელმწიფო სესხთა ანარიცხისა;

ვ) ფედერატიული სახსარიდან დანიშნული დოტაცია უწყებული რესპუბლიკის ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად, რომელი დეფიციტიც ა/კ. ს. ფ. ს. რ ს სახსარით უნდა დაიფაროს.

შენიშვნა. დაწვრილებითი ნუსხა იმ ჩვეულებრივი და საგანგებო შემოსავლისა, რაც ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ-ში შემავალ რესპუბლიკებს მიეცემა, დართულია ამა დებულებასთან.

21) ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტის საგასავალო-ნაწილში შედის:

ა) ყველა სახელმწიფო ხარჯი, რაც აღრიცხულია წინა (20) მუხლის "ა" პუნქტში ჩამოთვლილ უწყებათა და დაწესებულებათა საფინანსო ხარჯთაღრიცხვებით;

ბ) რესპუბლიკების სარეზერვო და სასუბვენციო ფონდები;

გ) საგანგებო ხარჯები: კომუნალურ დაწესებულებათა და საწარმოთა ფინანსიურად მოგვარებისათვის, აგრეთვე სხვა ხარჯები, რაც არა-გაერთიანებულ უწყებათა და დაწესებულებათა ცალკე ხარჯთაღრიცხვებში არ შედის, და რასაც ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს სახალხო კომისართა საბჭო, ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის დასტურით, გადასცემს ცალკე რესპუბლიკის ბიუჯეტს.

8. წესი ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი რესპუბლიკების სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვებისა და საერთო აღრიცხვების განხილვისა და დამტკიცებისა.

22. ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალ რესპუბლიკებისა და მათ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ხარჯთაღრიცხვებისა და საერთო აღრიცხვების განხილვისათვის—ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულებთან (რესპუბლიკებში) მოეწყობა სახარჯთაღრიცხვო-საბიუჯეტო თათბირები, რომლებიც ანალოგიურია ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს ფინანსთა სახალხო კომისარიატთან არსებული სახარჯთაღრიცხვო-საბიუჯეტო თათბირისა (მუხ. 9)

23. სახარჯთაღრიცხვო საბიუჯეტო თათბირის მიერ რესპუბლიკის სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვების განხილვის შემდეგ—ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმნუნებული რესპუბლიკაში თავს მოუყრის მათ საერთო აღრიცხვაში, რასაც იგი შემდგომ—ერთიანი კრებულითა და უწყებათა ხარჯთაღრიცხვებითურთ—წარუდგენს უწყებული რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დასადასტურებლად.

№ ეროვნული ბიბლიოთეკა

24. უწყებული რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ამ რესპუბლიკის ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ, იგი გაეგზავნება ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს სახალხო კომისართა საბჭოს, რომელიც განიხილავს ბიუჯეტებს მე-8 მუხ. წესისამებრ და განხილვის შემდეგ წარმართავს მათ ამა დებულების 10-14 მუხლის წესისამებრ.

25. ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტების პროექტის შესახებ უწყებული რესპუბლიკის საგეგმო კომისია აცნობებს ამ რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და იმავე დროს ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს თავის დასკვნას იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად შეეფერება აღნიშნული ბიუჯეტი სახელმწიფო და სახალხო მეურნეობის საერთო გეგმას და აგრეთვე რამდენად შეიძლება მისი რეალური აღსრულება. ამ დასკვნას საგეგმო კომისია აცნობებს ორი კვირის ვადაზე დღიდან ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის მიერ რესპუბლიკანური ბიუჯეტის წარდგენისა...

26. ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი ამა თუ იმ რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ამ რესპუბლიკის ბიუჯეტის განხილვისა და დადასტურების შემდეგ, იგი წარედგინება დასამტკიცებლად ამავე რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

IV. კრედიტის მთავარი განმკარგულებელნი და კრედიტის გადანაცვლების უფლება.

27. ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს გაერთიანებულ უწყებათა და დაწესებულებათა და ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი რესპუბლიკების არა-გაერთიანებულ უწყებათა სახარჯთაღრიცხვო კრედიტების მთავარ განმკარგულებლებად არიან სათანადო სახალხო კომისრები და იმ დაწესებულებათა სათავეში მდგომი პირნი, რომელთაც დამოუკიდებელი ხარჯთაღრიცხვები აქვთ. კრედიტის მთავარ განმკარგულებელს ან მის მიერ უფლება მოსილ ქვემდებარე ცენტრალურ სამმართველოს უფლება აქვს გაუხსნას კრედიტი უშუალოდ ადგილობრივ ორგანოებს სახარჯო განაწერით, ცალკე მიწერილობით და გადასაგზავნ-გადასარიცხავი მოთხოვნით.

28. კრედიტების გადანაცვლებას ფედერატიულ ბიუჯეტში ერთი გაერთიანებული უწყების ხარჯთაღრიცხვიდან სხვა გაერთიანებული უწყების ხარჯთაღრიცხვაში მოახდენს ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს ფინანსთა სახალხო კომისარიატის წარდგენით ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს სახალხო კომისართა საბჭო, ს. ს. რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თანხმობით.

29. კრედიტების გადანაცვლებას ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს გაერთიანებულ უწყების ან დაწესებულების ხარჯთაღრიცხვიდან ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი ამა თუ იმ რესპუბლიკის არა-გაერთიანებული უწყებისა ან დაწესებულების ხალჯთაღრიცხვაში, აგრეთვე წინა-უკმოდ მოახდენს, ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს ფინანსთა სახალხო კომისარიატის წარდგენით, ა/კ. ს. ფ. ს. რ ს სახალხო კომისართა საბჭო, სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსთან შეთანხმებით და ს. ს. რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დასტურით.

30. კრედიტების გადანაცვლებას რესპუბლიკანურ ბიუჯეტში ერთი რესპუბლიკის არა-გაერთიანებული უწყების ხარჯთაღრიცხვიდან სხვა რესპუბლიკის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამოსახელე ან არა-თანამოსახელე არა-გაერთიანებული უწყების ხარჯთაღრიცხვაში—მოახდენს ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს სახალხო კომასართა საბჭო, ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის წარდგენით და თანაც მარტოოდენ დაინტერესებული რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებთან შეთანხმებით, იმ შემთხვევათა გამოკლებით, რაც ცალკე გათვალისწინებულ იქნება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ, ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს სახალხო კომისართა საბჭოს წარდგენისამებრ, ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს ბიუჯეტის დამტკიცების დროს.

31. კრედიტების გადანაცვლება რესპუბლიკანურ ბიუჯეტებში ერთი და იმავე რესპუბლიკის რომელიმე არა-გაერთიანებული უწყების ხარჯთაღრიცხვიდან მეორე არა-გაერთიანებული უწყების ხარჯთაღრიცხვაში—მოახდენს ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს სახალხო კომისართა საბჭო, უწყებული რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს წარდგენით და ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს ფინანსთა სახალხო კომისარიატის დასკვნით, ამ შემთხვევათა გამოკლებით, რაც ცალკე გათვალისწინებულ იქნება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს ბიუჯეტის დამტკიცების დროს.

32. კრედიტის გადანაცვლება ერთ და იმავე ხარჯთაღრიცხვის ერთი პარაგრაფიდან სხვა პარაგრაფში მოხდება—ცენტრალურ ფედერატიულ და გაერთიანებულ უწყებაში და აგრეთვე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოებში—კრედიტების მთავარი განმკარგულებლის შეთანხმებით ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს ფინანსთა სახალხო კომისარიატთან.

უკეთუ შეთანხმება არ მოხდა, საკითხი გადასაწყვეტად ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს სახალხო კომისართა საბჭოს წარედგინება.

33. კრედიტების გადანაცვლებას ერთი და იმავე ხარჯთაღრიცხვის ერთი პარაგრაფიდან სხვა პარაგრაფში რესპუბლიკანურ არა-გაერთიანებულ უწყებაში მოახდენს სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო, ა/კ. ფინანსთა სახ. კომისარიატის რწმუნებულის (ამ რესპუბლიკაში) წარდგენით; ამასთანავე ეს უკანასკნელი კრედიტების ყველა გადანაცვლებას აცნობებს ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატს,

34. კრედიტების გადანაცვლებას ერთი და იმავე პარაგრაფის ფარგლებში ერთი მუხლიდან სხვა მუხლში მოახდენს კრედიტების მთავარი განმკარგულებელი, რასაც შემდგომ ა/კ. ფინანსთა სახ. კომისარიატს აცნობებს. ამა თუ იმ რესპუბლიკის არა-გაერთიანებული უწყების კრედიტების მთავარი განმკარგულებელი ცნობას გაუგზავნის ა/კ. ფინანსთა სახ. კომისარიატის რწმუნებულს, ხოლო ეს უკანასკნელი—ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

შენიშვნა. კრედიტების მეორე-ხარისხოვან განმკარგულებელს უფლება ქვს ერთ და იმავე ფარგალში კრედიტის ერთი ლიტერიდან სხვა ლიტერაში გადანაცვლებისა და ამასთანავე იმ თანხის ფარგლებში, რაც სათანადო ლიტერით მის განკარგულებაშია გახსნილი.

V ა/კ. ს ფ. ს. რ. ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის საკასო აღსრულება.

35. ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის თანხების ფარგლებში ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს ფინანსთა სახალხო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისარიატი, სათანადო უწყებებთან ერთად, შეიმუშავებს ადგილობრივი ორგანოებისათვის მინდობილობას შემოსავალთა გადახდევინებისას და სახარჯო განაწერებს სახელმწიფო ხარჯების წარმოებისას—უწყებათა სათანადო ადგილობრივი ორგანოებისათვის და ფინანსთა სახალხო კომისარიატის საკასო დაწესებულებათათვის დასაგზავნად.

36. ვიდრე მტკიცე წლიური ბიუჯეტების სისტემაზე გადასვლა მოხდებოდეს, ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს ფინანსთა სახალხო კომისარიატი, დამტკიცებულ საორიენტაციო წლიური ბიუჯეტების ფარგლებში, დაამტკიცებს საბიუჯეტო გეგმებს იმ წესისამებრ, რაც სპეციალური დადგენილებით იქნება დამყარებული; ამასთანავე. ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს ფინანსთა სახალხო კომისარიატი აცნობებს ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთ რესპუბლიკებში იმ თანხებს, რაც აღნიშნული გეგმებით დამტკიცებულია, როგორც საშემოსავლო, ისე სახარჯო ნაწილში. ფარდობა იმ ასიგნოვების საერთო წლიურ რაოდენობათა შორის, რაც გათვალისწინებულია საბიუჯეტო გეგმებით, როგორც ფედერატიულ საერთო აღრიცხვაში, ისე ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი თვითეული რესპუბლიკის საერთო აღრიცხვაში, უნდა ეთანაბრებოდეს იმავე ნაწილების ფარდობას წლიურ საორიენტაცო ბიუჯეტში.

37. ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცებისთანავე, ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს ფინანსთა სახალხო კომისარიატი დაუყოვნებლივ გაუხსნის ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს გაერთიანებულ და არა-გაერთიანებულ უწყებათ და დაწესესებულებათ კრედიტებს აღნიშნული ბიუჯეტების მიხედვით.

38. ფინანსთა სახალხო კომისარიატის ყველა სალარო, რომლის ანგარიშზედაც გახსნილია კრედიტი, მოვალეა გაიღოს იგი საერთო ხელთქონებულობიდან, იმის დამოუკიდებლად, თუ რომელ ბიუჯეტს შეეხება გასაცემი კრედიტი —საერთო-საკავშირო, თუ ფედერატიულ ბიუჯეტს, ან უწყებული რესპუბლიკის ბიუჯეტს.

39. ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი თვითეული რესპუბლიკის, როგორც შემოსავლისა, ისე გასავლის ანგარიშწარმოება ცალკე უნდა იყოს საერთო-საკავშირო და ფედერატიული ბიუჯეტის საბიუჯეტო ანგარიშწარმოებისაგან.

40. ფინანსთა სახალხო კომისარიატის სალაროს ანგარიშებზე გახსნილი ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს გაერთიანებულ უწყებათა და დაწესებულებათა და ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი რესპუბლიკების არა-გაერთიანებულ უწყებათა და დაწესებულებათა კრედიტები შეიძლება გადიტანილ იქნეს ერთი სალაროს ანგარიშიდან მეორე სალაროს ანგარიშზე ამა თუ იმ რესპუბლიკის ფარგლებში—კრედიტების მთავარ განმკარგულებლის განკარგულებით.

ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს გაერთიანებულ უწყეთა და დაწესებულებათა განკარგულებაში ან ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი ერთი რომელიმე რესპუბლიკის არა-გაერთიანებული უწყებისა თუ დაწესებულების განკარგულებაში გახსნილი კრედიტი საჭიროა გადატანილ იქნეს ამა თუ იმ სალაროს ანგარიშზე, რომელიც სხვა რესპუბლიკის ტერიტორიაზეა,—ეს კრედიტი დაინტერესებული უწყებისა თუ დაწესებულების მიერ გადაიტანება ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს ფინანსთა სახალხო კომისარიატის ცენტრალური სალაროს ანგარიშზე, რა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა იგი შემდგომ ცენ. სალაროს ანგარიშიდან გადატანილ იქნეს სხვა რესპუბლიკის სათანადო სალაროს ანგარიშზე; ასეი უნდა გაეგზავნოს ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს სათანადო რესპუბლიკაში.

VI ხარჯთაღრიცხვების ზედმეტი კრედიტები.

41. უკეთუ საბიუჯეტო წლის განმავლობაში საჭირო იქნება ისეთი ხარჯის გაწევა, რაც ბიუჯეტით გათვალისწინებულ ვერ იქნებოდა, და რომლის შემდეგი წლისათვის უზიანოდ გადადება არ მოხერხდება, ან, უკეთუ ბიუჯეტით ამა თუ იმ ხარჯისათვის ნებადართული კრედიტი, ახლად წარმომობილ გარემოებათა გამო, საკმარისი არ იქნება, უწყებათ უფლება ეძლევათ გამოითხოონ ხარჯთაღრიცხვის ზედმეტი კრედიტი.

42. გაცემა როგორც ექსტროორდინარი ხარჯთაღრიცხვის ზედმეტი კრედიტისა, ე. ი. ისეთი კრედიტისა, რაც გამოითხოება ხარჯთაღრიცხვით სრულიად გაუთვალისწინებელი საჭიროებისათვის, ისე დამტებითი კრედიტისა, ე. ი. ისეთი კრედიტისა, რაც გამოითხოვება უკვე ბიუჯეტით გახსნილი კრედიტის დამატებად, და რის დაფარვაც შეუძლებელია გახსნილი კრედიტების გადანაცვლებით, — შეიძლება იმ სარეზერვო ან სხვა სპეციალურ ფონდიდან, რაც დანიშნულია ხარჯთაღრიცხვების ზედმეტი ხარჯების დასაფარავად და, ამასთანავე, მარტოოდენ ამ ფონდის ხელთქონებულობის ფარგლებში.

43. ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს გაერთიანებული უწყება და დაწესებულება წარად გენს თავის დაწვრილებით დასაბუთებულ თხოვნას ხარჯთაღრიცხვის ზედმეტი კრედიტის მიცემის შესახებ ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს სახალხო კომისართა საბჭოში და თხოვნის ასლს გაუგზავნის ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს ფინანსთა სახალხო კომისარიატს, რომელიც თვითეული ასეთი თხოვნის გამო წარუდგენს ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს სახალხო კომისართა საბჭოს თავის დასკვნას.

44. ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი ამა თუ იმ რესპუბლიკის არა-გაერთიანებული უწყება თუ დაწესებულება წარადგენს თავის დაწვრილებით დასაბუთებულ თხოვნას სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოში და ამ თხოვნის ასლს გაუგზავნის ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს, რომელიც თვითეული ასეთი თხოვნის გამო წარუდგენს თავის დასკვნას სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს.

ყველა ხარჯთაღრიცხვის ზედმეტი კრედიტის შესახებ, რაც ცალკე რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების მიერ გაცემულ იქნება მათი სარეზერვო ფონდებიდან, ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულნი რესპუბლიკებში დაუყოვნებლივ აცნობებენ ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

45. შუამდგომლობა — ამა თუ იმ რესპუბლიკის არა-გაერთიანებული უწყებისათვის ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს ფედერატიული ბიუჯეტის ანგარიშით ხარჯთაღრიცხვის ზედმეტი კრედიტის მიცემის შესახებ — შეიტანება, 44 მუხ. წესისამებრ, ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს სახალხო კომისართა საბჭოში მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ ხარჯთაღრიცხვას სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო დამტკიცებს, და იმ შემთხვევაში, უკეთუ ამ რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

განკარგულებაში არ იქნება ისეთი წყარო, საიდამაც შეიძლებოდეს ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება (სარეზერვო ფონდი).

დანართი დადგენილებისა „ა/კ. ს. ფ. ს. რ-სა და მის შედგენილობაში შემავ ალირესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებათა შესახებ“.

I. ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს ფედერატიულ შემოსავალთა ნუსხა.

1. ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დაწესებული ანარიცხები საერთო-საკავშირო გადასახადებისა, ბაჟისა და არასაგადასახადო შემოსავლისა და მათივე ზედნართები, იმ ანარიცხთა და ზედნართთა გამოკლებით, რაც ცალკეა დაწესებული, და რაც შევა ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტების შესაქმნელად.

2. ბაჟი და გამოსაღები, რაც გაერთიანებულ უწყებათა დაწესებულებებში შევა:

ა) საკანცელარიო გამოსაღები; ბ) ის საგამოსაკვლეო გამოსაღები და აგრეთვე ის გამოსაღები სამთო ნაკვთების მიჩენისათვის, რაც ს. ს. რ. კავშირის კანონმდებლობით გადაეცემა ა/კ. ს. ფ. ს. რ-კას, გ) სასინჯო გამოსაღები; დ) გამოსაღები საზოგადოებათა, ამხანაგობათა, დაწესებულებათა და საწარმოთა რეგისტრაციისათვის და ე) სხვა გამოსაღები, რაც გატარებულ უნდა იქნეს გაერთიანებული უწყების ხარჯთაღრიცხვაში.

3. გაერთიანებულ უწყებათა და დაწესებულებათა განკარგულებით კონფისკაციაქმნილი ქონება და კაპიტალი.

4. ფედერატიული მნიშვნელობის კონცესიების სასყიდელი, გარდა საგანგებო რესურსებისათვის მიკუთვნებულისა.

5. იმ სახელმწიფო ქონებათა შემოსავალი, რაც ს. ს. რ. კავშირის უშუალო გამგებლობაში არ არის გადაცემული, და იმ სახელმწიფო ქონებათა შემოსავლის ანარიცხი, რაც გადაცემულია ს. ს. რ. კავშირის უშუალო გამგებლობაში.

6. სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ ფედერატიული მნიშვნელობის საწარმოთა შემოსავალი.

7. სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილ ფედერატიული მნიშვნელობის სახელმწიფო სამრეწველო და სავაჭრო საწარმოთა შემოსავალი.

8. ფედერატიული მნიშვნელობის საკრედიტო დაწესებულებათა მოგება.

9. ფედერატიული მნიშვნელობის შერეულ საზოგადოებათა და ამხანაგობათა მოგების ანარიცხი.

10. სახელმწიფო ხარჯების ანაზღაურება:

ა) სესხისა და ვალის დაბრუნება ფედერატიული ბიუჯეტით;

ბ) ფედერატიული რესურსებიდან გაცემულ სესხის შემოსული პროცენტი;

გ) ფედერატიულ უწყებათა ორგანოების მიერ სხვა დაწესებულებათა, საწარმოთა და პირთა ანგარშით გაწეული ხარჯების დაბრუნება;

დ) ის თანხები, რაც შეტანილია გაერთიანებულ უწყებათა კრედიტების აღსადგენად ხარჯთაღრიცხვების დამთავრების შემდეგ ან იმ სახარჯთაღრიცხვო დანაწილებათა აღუნიშნელად, რომლებისათვისაც კრედიტი აღდგენილ უნდა იქნეს;

11. სხვა-და-სხვაგვარი შემოსავალი: ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს გაერთიანებულ უწყებათა მიერ გადახდევინებული ჯარიმა და გადასახდელი; ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს გაერთიანებულ უწყებათა გამოუსადეგი და არა-საჭირო ქონების გაყიდვით მისაღები შემოსავალი.

12. გაერთიანებულ უწყებებში შემოსული სარევიზიო საზღაური.

13. ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს გაერთიანებულ უწყებათა და დაწესებულებათა სხვა-და-სხვა მინაღები.

საგანგებო შემოსავალი.

14. ფედერატიული მნიშვნელობის სახელმწიფო მატერიალური ფონდების რეალიზაციის შემოსავალი.

15. ფედერატიული მნიშვნელობის კონცესიების სასყიდელი და ფედერატიული მნიშვნელობის საიჯარო სასყიდელი, რაც განსაკუთრებული დადგენილებებით საგანგებო რესურსებზეა მითვლილი.

16. ფედერატიული რესურსებიდან გაცემული სათესლე და სასურსათო სესხისა და ვალის დაბრუნება.

17. ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს სესხთა და საკრედიტო ოპერაციათა შემოსავალი.

18. საერთო-საკავშირო სახელმწიფო სესხთა ანარიცხები, იმ ანარიცხთა გამოკლებით, რაც ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტებს გადაცემა.

II. ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი რესპუბლიკების რესპუბლიკანურ შემოსავალთა ნუსხა.

1. საერთო-საკავშირო გადასახადებისა, ბაჟისა და არა-საგადასახადო შემოსავლის ანარიცხების ანარიცხები და ზედნართები, რაც ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დაწესებულია ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტების შესაქმნელად.

2. არა-გაერთიანებულ უწყებათა დაწესებულებებში შემოსული ბაჟი და გამოსაღები:

ა) სასამართლო ბაჟი და გამოსაღები სასამართლოებში წარმოებულ საქმეთა ქაღალდებისათვის; ბ) სანოტარო გამოსაღები; გ) გამოსაღები სასამართლოს აღმასრულებელთა მოქმედებისათვის; დ) საკანცელარიო გამოსაღები; ე) გამოსაღები საუცხოეთო პასპორტის მიცემისათვის და ვიზისათვის; ვ) საცენზურო გამოსაღები; ზ) გადასახადი ნადირობის უფლებისათვის; თ) სხვა გამოსაღები, რაც არა-გაერთიანებულ უწყებათა ხარჯთაღრიცხვებში უნდა იქნეს გატარებული.

3. ბეითალმანი ქონება და კაპიტალი, აგრეთვე არა-გაერთიანებულ უწყებათა და დაწესებულებათა განკარგულებით კონფისკაციაქმნილი ქონება და კაპიტალი.

4. რესპუბლიკანური მნიშვნელობის კონცესიების სასყიდელი, გარდა საგანგებო რესურსებისათვის მიკუთვნებულისა.

5. იმ სახელმწიფო ქონებათა შემოსავალი, რაც ს. ს. რ. კავშირისა და ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს უშუალო გამგებლობაში არ არის გადაცემული, და იმ სახელმწიფო ქონებათა შემოსავლის ანარიცხი და ზედნართი, რაც გადაცემულია ს. ს. რ. კავშირისა და ა/კ, ს. ფ. ს. რ-ს უშუალო გამგებლობაში:

ა) სარენტო შემოსავალი, გარდა იმ მიწებისა, რაც მიჩენილია ტრანსპორტისათვის; ბ) ტყის შემოსავალი; გ) სხვა სახელმწიფო ქონების შემოსავალი.

6. სახელმწიფო სასოფლო მეურნეობისა და მესაქონლეობის შემოსავალი; სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა შემოსავალი.

7. შემოსავალი, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ, ისე სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილი რესპუბლიკანური მნიშვნელობის სახელმწიფო მრეწველობისა, ვაჭრობისა და ბანკებისა.

8. რესპუბლიკანური მნიშვნელობის შერეული საზოგადოებათა და ამხანაგობათა მოგების ანარიცხი.

9. სახელმწიფო ხარჯების ანაზღაურება:

ა) რესპუბლიკანური რესურსებიდან გაცემული სესხისა და ვალის დაბრუნება.

ბ) რესპუბლიკანური რესურსებიდან გაცემული სესხის შემოსული პროცენტი;

გ) რესპუბლიკანურ უწყებათა ორგანოების მიერ სხვა დაწესებულებათა, საწარმოთა და პირთა ანგარიშით გაწეული ხარჯების დაბრუნება;

დ) სასამართლოს ხარჯების ანაზღაურება;

ე) ის თანხები, რაც შეტანილია არა-გაერთიანებულ უწყებათა კრედიტების აღსადგენად ხარჯთაღრიცხვების დამთავრების შემდეგ ან იმ სახარჯთაღრიცხვო დანაწილებათა აღუნიშნელად, რომლებისათვისაც კრედიტი აღდგენილ უნდა იქნეს.

10. სხვა-და-სხვაგვარი შემოსავალი: უწყებული რესპუბლიკის არა-გაერთიანებულ უწყებათა მიერ გადახდევინებული ჯარიმა და გადასახდელი; არა-გაერთიანებულ უწყებათა გამოუსადეგი და არა-საჭირო ქონების გაყიდვით მისაღები შემოსავალი.

11. არა-გაერთიანებულ უწყებებში შესული სარევიზიო საზღაური.

12. ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი რესპუბლიკების არა გაერთიანებულ უწყებათა და დაწესებულებათა სხვა-და-სხვა მინაღები.

საგანგებო შემოსავალი

13. რესპუბლიკანური სახელმწიფო ფონდების რეალიზაციის შემოსავალი.

14. რესპუბლიკანური მნიშვნელობის კონცესიების სასყიდელი, რაც განსაკუთრებული დადგენილებით საგანგებო რესურზებზეა მითვლილი.

15. რესპუბლიკანური რესურსებიდან გაცემული სათესლე და სასურსათო სესხის და ვალის დაბრუნება.

16. უწყებული რესპუბლიკისათვის ნებადართული სახელმწიფო სესხისა და საკრედიტო ოპერაციების შემოსავალი.

17. საერთო-საკავშირო და ფედერატიულ სახელმწიფო სესხთა ანარიცხები.

ა/კ. ცენტრალური აღმ. კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ხანოიანი.**

ა/კ. ცენტრალური აღმ. კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი-სასახლე. 1925 წ. აპრილის 27.

ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა. პლეხმნოვის პროსპ. № 91.

მთავარლიტ № 1134. შეკვეთის № 10/8087. დაიბ. 1300.